პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ოთხშაბათი
11
დეკემბერი
1935 წ.
№ 286 4442
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომბაინის დანერგვა მიწათმოქმედებაში და კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა მრავალრიცხოვანი კადრების გამოზრდა პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს.

ი. სტალინი

ურემონტოდ!

კაპიტალისტები და მათი ლაქიები განსაკუთრებული გულმოდგინებით „ამტკიცებდნენ“, რომ საბჭოთა ჩაის მომავალი არა აქვსო.

ჩვენმა სინამდვილემ კი ნათელჰყო ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა „წინასწარმეტყველების“ სრული უსაფუძვლობა. საბჭოთა ჩაიმ გაიმარჯვა, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად.

საბჭოთა ჩაის ბრწყინვალე გამარჯვების საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს საჰექტარო მოსავლის ყოველწლიური ზრდა. მარტო ის ფაქტი, რომ 1932 წელთან შედარებით 1935 წელს ჩაის საშუალო მოსავლიანობა 701 კილოგრამიდან 1400 კილოგრამამდე გაიზარდა — განა საბჭოთა ჩაის უდაო ბრწყინვალე გამარჯვებას არ მოწმობს?

აჭარისტანში წელს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და ბრიგადებმა საშუალოდ ჰექტარზე 4000—4200 კილოგრამი ჩაი აიღეს. ჩაის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ცალკე ნაკვეთებზე კი საშუალო საჰექტარო მოსავალი 6.000 კილოგრამამდეც აღწევდა.

დაე, ახლაც ილაყბონ კაპიტალისტებმა და მათმა ბედოვლათმა „სწავლულებმა“ საბჭოთა ჩაის უპერსპექტივობაზე ისინი ვერასოდეს ვერ მოესწრებიან მათთვის სანეტარო დროს, როდესაც ძველი რუსეთის ბაზარზე თავიანთი ჩაის ექსპორტით ათეულ მილიონ ოქროს მანეთებს იჩხრიალებდნენ თავიანთ უძირო ჯიბეებში:

მიუხედავად ჩვენი ამ გამარჯვებისა, ბრძოლა ჩაის კულტურის დაუფლებისათვის ჩვენში, ცხადია, სრულიადაც არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. ჯერ კიდევ წინ გვაქვს გადაშლილი უდიდესი სამუშაო ჩაის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. აუცილებელია საბჭოთა სპეციალისტებისა და მთელი მეცნიერული აზრის დაუღალავი მუშაობა, რომ გადაწყვეტილი იქნას ჩაის უკეთესად ათვისების მთელი რიგი საკითხები.

ჩაის პლანტაციების გეგმაშეწონილი გაფართოვება ჩვენში ყოველწლიურად სწარმოებს. მიღებულია ყველა ზომა, რათა ჩაისათვის გამოსადეგი ფართობი რესპუბლიკის სუბტროპიკულ ზონაში მთლიანად იქნას გამოყენებული.

და აი, ამ საბრძოლო ამოცანის გადაჭრასთან დაკავშირებით ისმება ახალი პლანტაციების იმგვარად გაშენების საკითხი, რომ **სავსებით მოისპოს სიმეჩხერე და პლანტაციების რემონტის საჭიროება.**

ჩვენ ახლა ბევრგან გვაქვს პლანტაციები, რომლებიც 40-50 პროცენტით მოცდენილია და მოითხოვს კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს. პლანტაციების მოცდენა და სიმეჩხერე გამოწვეულია ყოვლად უმსგავსი დამოკიდებულებით ჩაის გაშენებისა და ახალგაზრდა პლანტაციების მოვლისადმი.

ჩაის რაიონების პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და ჩაის სპეციალისტების უდიდესი საპატიო მოწოდება და ღირსების საქმეა —მოსპონ სიმეჩხერე და მიაღწიონ იმას, რომ სრულ მოსავლიან პლანტაციას არც ერთი ბუჩქი არ აკლდეს.

რეალურია თუ არა ეს?

მეცნიერული დასკვნები, ჩაის აგროწესები, მრავალი წლის დაკვირვება და პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეს სავსებით რეალური და მისაღწევია ყველა რაიონსა, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

სიმეჩხერე და ყოველგვარი რემონტის საჭიროება რომ მოვსპოთ ჩაის ახალ პლანტაციებში, რომლებიც ამის შემდეგ გაშენდება, საჭიროა სულ ცოტა, ოთხი რამ:

პირველი და მთავარია **ნიადაგის შერჩევა.** რაიონებში, მართალია არის მიდრეკილება, რომ ჩაისათვის რაც შეიძლება მეტი ნიადაგი მოამზადონ, მაგრამ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორია ეს ნიადაგი, აკმაყოფილებს თუ არა ის ჩაის კულტურისათვის საჭირო ყველა პირობას, ნაკლები ყურადღება ექცევა. საქმისადმი ასეთი ზერელე მიდგომის შედეგია ის, რომ ჩოხატაურის, გალისა და ზუგდიდის რაიონების ჩაის პლანტაციების საგრძნობი ნაწილი კაპიტალურ რემონტს მოითხოვს, ზოგან კი პლანტაციები სავსებით ამოვარდნილია.

საჭიროა: ჩაისათვის მდიდარ—ჰუმუსიანი ნიადაგების შერჩევა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის ქიმიურ შემადგენლობას და წყლის გამტარიანობის შემოწმებას. და მხოლოდ მაშინ, როდესაც საფუძვლიანად დავრწმუნდებით, რომ ნიადაგის ბუნებრივი და ქიმიური პირობები სავსებით აკმაყოფილებს ჩაის კულტურის აგროწესებით დადგენილ მოთხოვნას, მხოლოდ მაშინ შეიძლება პრაქტიკულად გადაწყდეს ამა თუ იმ ნაკვეთის მომზადება ჩაის გასაშენებლად.

მეორე პირობა, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს ჩაის ბუჩქის ნაყოფიერად გახარებისათვის —ესაა **სადრენაჟო სისტემის** ისე მოწყობა, რომ შეიქმნას წყლის გამტარიანობის ყოველმხრივ ხელსაყრელი რეჟიმი.

არის მთელი რიგი რაიონები, სადაც ჭაობიან ადგილებში პლანტაციებს არ უკეთებენ დრენაჟებს, ხოლო სადაც უკეთებენ, მათი სიგრძე, განი და სიღრმე ვერ უზრუნველჰყოფს ზედმეტი წყლის დროულად დაწრეტას. ეს კი გამანადგურებლად მოქმედებს ახალგაზრდა პლანტაციის ფესვთა სისტემის ნორმალურ განვითარებაზე.

მესამე საკითხი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩაის პლანტაციების გახარებისა და ნორმალური განვითარებისათვის,—**ნიადაგის მომზადება არის.** ჩვენ აქ სახეში გვაქვს ტყიანების ამოძირკვა ისე, რომ ნიადაგის ზედაპირიდან 35—40 სანტიმეტრის სიღრმეზე არ იყოს არავითარი ფესვები. საჭიროა გადაბარვა აუცილებლად 45 სანტიმეტრის სიღრმეზე, გაფხვიერება ჩაის დასათეს მწკრივში ხელახალი გაფხვიერება, დასასრულ, გაფხვიერება ბუდნაში, ე. ი. იქ, სადაც ჩაის თესლი ვარდება.

ჩაის ახალი პლანტაციის გაშენების ხელმძღვანელთა განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ჩხირების ჩასმას ყველგან, სადაც კი ჩაის თესლი მოხვდა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ გაზაფხულზე გათოხნისა და გამოხელვისას ბალახთან ერთად არ მოიჭრას და არ მოიგლიჯოს ახალგაზრდა ჩაის მცენარე.

მეოთხე: დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის **თესლის შერჩევას და წესიერად თესვას.** მაგალითად, თუ არ არის შემოწმებული ჩაის თესლის ამოსვლის უნარიანობა და დაცული ჩათესვის აგროწესები, შეუძლებელია სიმეჩხერისაგან დაზღვევის იმედი ვიქონიოთ. ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს მიწსახკომს და ჩაქვის მეთესლეობის სამმართველოს, რომელსაც დაკისრებული აქვს ჩაის თესლის სტანდარტების დაწესება და მისი სახელმწიფო კონტროლში გატარება.

არის კიდევ მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩაის სიმეჩხერის სავსებით მოსპობისათვის. ესაა პლანტაციების დროული, წესიერი დამუშავება, მავნებლებთან ბრძოლა, ქარსაფარი ზოლის მოწყობა, ახალგაზრდა პლანტაციების გვალვებისა და პირუტყვისაგან სავსებით დაცვა.

ჩვენი ლოზუნგია—ვაშენოთ ჩაის ახალი პლანტაციები ისე, რომ სრულიად არ იქნეს საჭირო კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, რაც აურაცხელ ხარჯებს, ენერგიას, დროსა და მატერიალურ საშუალებას მოითხოვს.

ამ ლოზუნგის პრაქტიკულად განხორციელება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველთა მოძრაობას, რომელიც განსაკუთრებული ძლიერებით ვითარდება აგრეთვე ჩაისა და ციტრუსების რაიონებში. ჩაის სტახანოველებისა და დამკვრელების ღირსების საქმეა—აშენონ ჩაის ახალი პლანტაციები, რომლებსაც აღარ დასჭირდება რემონტი.

ამისათვის საჭიროა ფეხზე დავაყენოთ კოლმეურნეთა მასები და საბჭოთა მეურნეობის მთელი საზოგადოებრივობა. მუშებმა და კოლმეურნეებმა უნდა იცოდნენ, თუ რა ცუდ გავლენას ახდენს გამეჩხერებული პლანტაცია მათ მოსავლიანობაზე; მათ უნდა იცოდნენ, მაგალითად, რომ 40 პროცენტით გამეჩხერებული პლანტაციის თვითეული ჰექტარის რემონტი ჯდება დაახლოებით 500 მანეთად, და სანამ ეს რემონტი არ გაკეთებულა, 40 პროცენტით მოცდენილი ყოველი ჰექტარიდან ისინი წლიურად ჰკარგავენ 650 კილოგრამ ჩაის, რაც ფულად გამოხატულებაში 1.900 მანეთს უდრის.

ჩაის რაიონების ბოლშევიკებო! სათავეში ჩაუდექით ჩაის პლანტაციების ისე გაშენებას, რომ არც ერთი ახალი ნაკვეთი არ საჭიროებდეს კაპიტალურსა და მიმდინარე რემონტს.

ჩაის სტახანოველებო და დამკვრელებო! გვიჩვენეთ თქვენი მონდომების, ენტუზიაზმისა და ოსტატობის ახალი ბრწყინვალე მაგალითები სიმეჩხერის სავსებით მოსპობასა და ჯანსაღი პლანტაციების გაშენებაში.

ეს იქნება საქმით გაცემული პასუხი ბელადის იმ მოწოდებასა და მითითებაზე, რომელიც მან მოგვცა სტახანოველთა და შემდეგ მოწინავე კომბაინერთა საკავშირო თათბირებზე.

▽ ▽ ▽ ▽

შირაქის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერთა წერილი ამხანაგ ლავრენტი ბერიას

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი! ჩვენ, შირაქის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერებმა სიხარულით წავიკითხეთ საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის სიტყვა, წარმოთქმული მოწინავე კომბაინერების საკავშირო თათბირზე. ბელადის ამ სიტყვამ კომბაინერები აღგვაფრთოვანა. ჩვენ დღეს კიდევ უფრო მეტად ვიგრძენით მშობლიური მზრუნველობა, რომელსაც ჩვენს მიმართ იჩენენ პარტია და ხელისუფლება, პირადად ამხ. სტალინი.

წინათ ის ადგილი, სადაც ახლა ჩვენ ვმუშაობთ, წარმოადგენდა ველურ ტრამალს (ველს), სადაც მხოლოდ გაზაფხულსა და შემოდგომაზე გამოჰყავდათ საძოვრებზე ცხვარი, მწყემსების გარდა ვინ გაბედავდა იქ გავლას. აი სწორედ ამ ადგილას, შირაქის გულს რომ ეძახიან, დღეს გაშენებულია პატარა ქალაქი; შირაქის თვალუწვდენელ ველს ფოლადის დევგმირები დაჰპატრონებიან. 90 ტრაქტორი, 76 კომბაინი და მრავალი სხვა სას.-სამ. მანქანა—ყველა ეს შირაქის საბჭოთა მეურნეობისაა, ყველა ეს თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობის მონაპოვარია.

ჩვენ, ამხ. ლავრენტი, ვამაყობთ იმით, რომ სოფ. ზემოქვედის ყოფ. ღარიბესმა გლეხის შვილმა და მწყემსმა **არჩილ ლუდუშაურმა,** რომელიც შირაქის საბჭოთა მეურნეობაში დავაჟკაცდა და კომბაინერი გახდა, მონაწილეობა მიიღო მოწინავე კომბაინერთა საკავშირო თათბირზე. მან ბელადს სიტყვა მისცა—**ერთიორად გაადიდოს თავისი გამომუშავების ნორმა.** ეს ხომ ჩვენი სახელია! ჩვენმა გამოზრდილმა საკავშირო თათბირზე სიტყვა თქვა, პრეზიდიუმის წევრებს ხელი ჩამოართვა!

ამხ. ლუდუშაური ახლა წნორის მტს-ის კომბაინერია. მაგრამ ასეთი მოწინავენი ჩვენს შორის სხვებიც მოიპოვებიან.

აი, **ნიკია წიკლაური** საუკეთესო კომბაინერი, რომელმაც წელს 8½ სამუშაო დღეში მარცვლეული 174 ჰექტარზე აიღო, გამომუშავების დღიური ნორმა 200 პროცენტით შეასრულა, მეურნეობას მისცა 144 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია, მუშაობის შემდეგ კომბაინი სამუშაო მდგომარეობაში ჩააბარა. ახლა წიკლაური მეურნეობისგან მიღებული ფულით სოფელში კოხტა სახლს იშენებს.

აი, კიდევ მოწინავე კომბაინერი **კონსტანტინე ხორინი,** რომელმაც დღეში საშუალოდ გეგმით გათვალისწინებულ 10 ჰექტარის ნაცვლად მოსავალი აიღო 21,5 ჰექტარზე. ეს ხომ საუკეთესო მაჩვენებელია. ამხ. ხორინმა მოსავლის აღების პერიოდში 1800 მანეთამდე მიიღო, თავისი ოჯახი კულტურულად მოაწყო, ავადმყოფი შვილით კურორტზე გაემგზავრა. შვილი უკვე ჯანსაღი დაბრუნდა.

ან და 20 წლის **გოგია დათუკიშვილი** (კომკავშირელი), მეურნეობის ყოფ. დარაჯი, ახლა საუკეთესო კომბაინერია. მოსავლის აღების ნორმას დიდათ გადააჭარბა, მარცვლეული წმინდად აიღო და 178 კილოგრამი. საწვავი მასალის ეკონომიას მიაღწია.

სიმონ ბულაშვილი, გიგო ხოსიტაშვილი, ივანე ხორინი, ერშოვი, გოგია მირზაბეგოვი, ლაზარეშვილი, ი. გნუტოვი, მიხ. კორიაული, რაჟდენ მაისაშვილი, ყამარაული და სხვ.—აი კომბაინერები, რომლებიც სამაგალითოდ მუშაობენ.

წელს ჩვენ 76 კომბაინით მოსავალი 9426 ჰექტარი ვადაზე ადრე ავიღეთ. მოსავლის აღებაში მეზობელ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებსაც დავეხმარეთ.

გეგმით თითო კომბაინით დღეში მოსავალი უნდა აგვეღო 10 ჰექტარზე, ნამდვილად საშუალოდ ავიღეთ 13,5 ჰექტარზე; მეურნეობას მივეცით 13.156 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია; დანაკარგებთან ბრძოლა ჩავატარეთ 7855 ჰექტარზე, შევაგროვეთ დაბნეული პური 285 ცენტნერის რაოდენობით.

მაგრამ ყველა ეს მაჩვენებელი ჩვენ ახლა მცირედად მიგვაჩნია. საკავშირო თათბირზე დიდი სტალინის მიერ დასმულია ამოცანა: **„უახლოეს მომავალში მივაღწიოთ ყოველწლიურად შვიდ-რვა მილიარდ ფუთი მარცვლეულის მოყვანასო“.** ეს ჩვენც, შირაქელ კომბაინერებს, დიდ მოვალეობას გვაკისრებს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ, მეურნეობის სამკუთხედსა და აგრონომებთან ერთად ვითათბირეთ, ვიანგარიშეთ და გადავწყვიტეთ—ბელადის სიტყვას ვუპასუხოთ ახალი ვალდებულებების აღებით.

ვკისრულობთ:

კომბაინი „კომუნარით“ 1936 წელს დღეში საშუალოდ ავიღოთ მოსავალი 17 ჰექტარზე, ნაცვლად მიმდინარე წლის 13,5 ჰექტარისა. ამის გამო ჩვენ უარს ვაცხადებთ 20 კომბაინზე; ვიტოვებთ 56-ს; ზედმეტ კომბაინებს გადავცემთ მტს-ებს და საბჭოთა მეურნეობებს; მოსავალს დაწესებულ ვადაში ავიღებთ.

ვიბრძოლებთ დანაკარგების მთლიანად მოსპობისათვის.

მეურნეობას მივსცემთ საწვავი მასალის ეკონომიას 15 პროცენტის რაოდენობით, ნაცვლად მიმდინარე წლის 11,3 პროცენტისა;

კომბაინერების კურსებზე ყველა გადავემზადებით, გამოვზრდით ახალ კადრებს—კომბაინერებსა და მეშტურვალეებს დავეუფლებით აგროტექნიკას; აგრეგატზე მომუშავეებს (მეშტურვალე, ტრაქტორისტი, აღმრიცხველი) ვასწავლით კომბაინის ტექნიკას.

კომბაინების და ტრაქტორების რემონტში ყველანი მივიღებთ მონაწილეობას. ისე მოვამზადებთ კომბაინს, რომ გალის ჯაჭვების გაწყვეტის არცერთი შემთხვევა არ გვქონდეს.

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი! ბოლშევიკურ სიტყვას გიძლევით—ვიმუშაოთ სტახანოვურად, პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებები, რათა 1936 წელს მოსავლის დამთავრების შემდეგ ჩვენც მოგვეცეს უფლება—მოვიდეთ თქვენთან სარეკორდო მაჩვენებლებით. ეს იქნება ჩვენი ღირსეული პასუხი ბელადის სიტყვაზე.

ამხ. ლავრენტი! ყოველმხრივ ვიბრძოლებთ არ შევრცხვებით თქვენთან, ვასახელებთ ორდენოსან საქართველოს და ჩვენს ღვიძლს შვილს—არჩილ ლუდუშაურს.

დიდ მადლობას ვუძღვნით პარტიასა და ხელისუფლებას, ჩვენს საყვარელს, ხალხის დიდ ბელადს ამხ. **სტალინს** კადრებზე ასეთი მზრუნველობისა და აღზრდისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ამხ. ლავრენტის, ამ. კავკასიის პირველ სტახანოველს, სტალინის საუკეთესო მოწაფეს, კომბაინერების ერთგულ მეგობარს—ჩვენი მხურვალე სალამი!

დათიკო ბუნტური, მ. ოგერი, რ. მაისაშვილი, ივანე და კონსტანტინე ხორინები, გ. დათუკიშვილი, პ. შმილგენკო, მ. ლაზარეშვილი, რაფალიანცი, ს. წიკლაური, მ. ერშოვი, გ. ხოსიტაშვილი გ. მირზაბეგოვი, ლ. ხალხელაური, ტ. სოკოლოვი, კ. სადოვი, კ. ქინძაძე, ი. სივერინი, ვ. ეფრემენკო.

○ ○ ○

როგორ მუშაობდა არჩილ ლუდუშაური?

(წნორის მტს-ის უფროსი მექანიკოსის წერილი)

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაზ. „კომუნისტში“ წავიკითხე არჩილ ლუდუშაურის სიტყვა, წარმოთქმული მოსკოვში, მოწინავე კომბაინერების საკავშირო თათბირზე.

ჩვენმა კომბაინერმა სიტყვა სთქვა, პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელები ინახულა, დიდ სტალინს სიტყვა მისცა ერთიორად გაადიდოს მოსავლის აღების ის ნორმა, რასაც მან წელს მიაღწია.

მისი ნორმა—600 ჰექტარია.

მეც, როგორც უფ. მექანიკოსი, პირობას გიძლევი ყოველმხრივ შეუწყო ხელი ლუდუშაურს, დავეხმარო მის მიერ ნაკისრი ვალდებულების განაღდებაში.

ახლა „კომუნისტის“ მკითხველს მინდა ვუამბო—როგორ მუშაობდა ლუდუშაური, როგორ მიაღწია მან ჩვენს მტს-ში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს. ეს მე უფრო კარგად ვიცი, რადგანაც უშუალოდ ვხელმძღვანელობდი ლუდუშაურის აგრეგატს.

არჩილ ლუდუშაური წნორის მტს-ში სხვა კომბაინერებს შორის განირჩევა თავისი სიმტკიცით, დისციპლინით, სიმარჯვით, პატიოსანი და თავდადებული მუშაობით. ამიტომ იგი ყველას უყვარს, დირექცია აფასებს, მზრუნველობით ეპყრობა.

ლუდუშაურმა მინდვრად გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, დირექციასთან შეთანხმებით შეარჩია აგრეგატის (მეშტურვალე, ტრაქტორისტი, აღმრიცხველი) შემადგენლობა, მათში დანერგა შრომის სიყვარული, განამტკიცა დისციპლინა, დაამყარა ამხანაგური დამოკიდებულება.

მოსავლის აღების დაწყებამდე — 10 დღით ადრე არჩილმა დაათვალიერა ის ნაკვეთები, რომელზედაც მას უნდა ემუშავა. მისი მითითებით კოლმეურნეობებმა ამოავსეს ორმოები, შეაკეთეს ბოგირები, ყანის გარშემო ადგილები გაწმინდეს ჯაგნარისა და ქვისაგან. ერთი სიტყვით, ლუდუშაურმა წინასწარ გაიკაფა გზა, რომ თავისი „კრეისერით“ ადვილად შეჭრილიყო „აღელვებულ“ ყანაში.

ლუდუშაური საუკეთესო მჭედელია. ამიტომ მან მოსავლის აღებამდე მოიმარაგა სამჭედლო იარაღი, მოიმზადა ნავთი და ბენზინი, წყალი და კასრით ქვიშა. კიდევ ერთხელ, საფუძვლიანად შეამოწმა კომბაინი და ისე გავიდა მინდვრად.

ლუდუშაური ჩაება სოცშეჯიბრებაში. მან კარგად იცოდა პარტიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილება იმ კომბაინერთა დაჯილდოების შესახებ, რომლებიც გეგმას გადააჭარბებდნენ.

არ მახსოვს, რომ მუშაობის დროს ლუდუშაურს კომბაინერი გასჩერებოდეს. ის თავის „კრეისერს“ არასოდეს არ შორდებოდა,—იმ დროს, როცა ზოგი მისი ამხანაგი კომბაინს თავის მეშტურვალის ამარად სტოვებდა.

მუშაობის დროს ათვალიერებდა კომბაინის ყველა ნაწილს. და თუ რამე დეფექტს შეამჩნევდა სწრაფად გამოასწორებდა ხოლმე.

გალის ჯაჭვი ლუდუშაურს არც ერთხელ არ გასწყვეტია, გაწყვეტის თავიდან ასაცილებლად მან ჯაჭვს ზევიდან საზეთი მოაწყო. ამრიგად ჯაჭვი მუშაობის დროს განუწყვეტლივ იზეთებოდა.

ყოველთვის სამუშაო დღის დამთავრებისას, ლუდუშაური თავისი თანაშემწეებით კომბაინს შეამოწმებდა, გაასუფთავებდა და გაზეთავდა ხოლმე.

აი, ასე დაუღალავად, სტახანოვურად მუშაობდა ლუდუშაური საკოლმეურნეო მინდვრებზე.

ახლა არჩილ ლუდუშაურისათვის მე უკვე შევარჩიე სარემონტო ბრიგადა. ის ამ ზამთარს ტრაქტორების შეკეთებაზე ბრიგადის ხელმძღვანელად იმუშავებს.

იმედი გვაქვს, ამხ. ლუდუშაური, რომელმაც მოსავლის აღებით მთელს საბჭოთა კავშირში მოწინავე კომბაინერის სახელწოდება მოიხვეჭა, ტრაქტორების შეკეთებაშიც პირველი გამოვა.

ბ. ქერეჟაშვილი.

დამზადებულია 160 მილიონი ცალი მანდარინი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს—ამხ. სტალინს

სსრ კ-ის სახკომსაბჭოს—ამხ. მოლოტოვს

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობანი ასრულებენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და პირადად ამხანაგ **სტალინის** მითითებებს, რომ 1937 წელს მანდარინის მოსავალ და დამზადება ნახევარ მილიარდ ცალამდე იყოს აყვანილი. მათ 8 დეკემბრამდე მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 160 მილიონი ცალი მანდარინი, ანუ გეგმის 106,6 პროცენტი, მაშინ როცა 1934 წელს შეგროვილი და ჩაბარებული იყო 50 მილიონი ცალი.

მოკრიფეს და ჩააბარეს:

აჭარისტანმა—126,0 მილიონი ცალი,
მახარაძის რაიონმა—17,5 მილიონი ცალი,
აფხაზეთმა—11,0 მილიონი ცალი,
სხვა რაიონებმა—5,5 მილიონი ცალი.

მანდარინის დამზადება გრძელდება. გეგმა თვალსაჩინო გადაჭარბებით იქნება შესრულებული. აჭარისტანი უახლოეს დღეებში კიდევ მოგვცემს სულ მცირე 15 მილიონ ცალ მანდარინს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრკ-ის სახკომსაბჭოს მიერ ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით 1935 წლის 5 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება, რომ ციტრუსოვან ნარგავთა პლანტაციების ფართობი საქართველოს შავიზღვის სანაპიროზე 1940 წლისათვის გადიდდეს 20 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად არსებული 3.282 ჰექტარისა,—საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების წინაშე უდიდესი მნიშვნელობის ამოცანას აყენებს—მიაწოდონ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სუფრას **რამდენიმე მილიარდი** ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი—მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი.

პარტიისა და მთავრობის დავალება ციტრუსების შესახებ შესრულებული იქნება.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ბერია

□ □ □

სტახანოველები წნორის მტს-ში

(წნორი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ჩვენი დამკვრელები, მოწინავენი, ხშირად გაიგონებთ წნორის მტს-ში ღირსეული ადამიანების სახელს. მათი რიცხვი აქ საკმაოდ დიდია. მაგრამ წნორის მტს ამ მოწინავეთა შორის ჰყავს ნამდვილი სტახანოველები, თავისი საქმის ოსტატები.

აი, **არჩილ ლუდუშაური**—ამ მტს-ის კომბაინერი—რეკორდისტი, რომელმაც მოსკოვს საკავშირო თათბირში მონაწილეობა მიიღო. მოსავლის აღების მიცემული ნორმის საგრძნობი გადაჭარბებით შესრულებაში ლუდუშაურს მისდევენ კომბაინერები: **კუპრიენკო, დარჩიაშვილი, კოვალიოვი, სიმონ ოგბაიძე, მარკოვი, ნარინდაშვილი.**

მათ, ამ სტახანოველებს, ხელს უწყობენ, მზრუნველობით ეპყრობიან, ახალისებენ.

„კადრები სწყვეტენ ყველაფერს“ —ბელადის ამ ლოზუნგს წნორის მტს-ში საქმით უპასუხეს. 13 კომბაინს ხომ უნდოდა ათვისება. ეს საქმე აქ კარგად დააყენეს. ძველი კომბაინერები გადაამზადეს, გარდა ამისა 13 კაცი, ტრაქტორისტები, ტფილისს კომბაინერების სკოლაში გაგზავნეს: მათ ისწავლეს კომბაინის მართვა, ისინი პირველად არ გაუშვეს კომბაინერებად. კვალიფიკაციის ამაღლებისა და პრაქტიკის მიღების მიზნით 13 კაცი გამოცდილ კომბაინერებს მეშტურვალეებად დაუყენეს. ეს მეშტურვალეები გაისად საუცხოვო კომბაინერები იქნებიან.

როგორ ზრუნავდა წნორის მტს-ის დირექცია მოსავლის აღების პერიოდში კადრებზე, ცოცხალ ადამიანებზე? ამის პასუხისთვის მივმართოთ სინამდვილეს.

მოსავლის აღებისას ყველა კომბაინს ჰქონდა პატარა აფთიაქი, პირსახოცი, საპონი, ხელის გასაწმენდი; დროზე მისდიოდათ საჭმელი, 5 დღეში ერთხელ იძლეოდათ ხელფასი, ყოველდღე ღებულობდნენ ჟურნალ-გაზეთებს, ცნობებს გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და სხვ.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებამ კომბაინერების შრომის ხელფასის ანაზღაურებაზე, რომელიც მტს-ში მოსავლის აღების დაწყებამდე დამუშავდა, დიდი სტიმული იყო კომბაინერებისთვის, რათა თავდადებით ემუშავნათ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

კადრებზე პარტიისა და ხელისუფლების ასეთმა ზრუნვამ თვალსაჩინო შედეგი გამოიღო. მტს-მა გეგმით გათვალისწინებული 2800 ჰექტარის ნაცვლად მარცვლეული კომბაინებით 3.500 ჰექტარზე აიღო. სამუშაო დაწესებულ ვადაში შეასრულა.

საინტერესოა, ვინ ისახელა თავი ლუდუშაურის შემდეგ მოსავლის აღებაში? **ლეონტი კუპრიენკომ!**

კუპრიენკომ 15 სამუშაო დღეში მარცვლეული 288 ჰექტარზე აიღო, (ლუდუშაურზე 12 ჰექტარით ნაკლები). მტს-ს მისცა 370 კილოგრამი ბენზინის ეკონომია. 15 დღეში მან 1195 მანეთი მიიღო. ამ ფულით კუპრიენკომ ცოლშვილი შემოსა, აიღო შვებულება და საბჭოთა კავშირში იმოგზაურა.

მოვუსმინოთ თვითონ კუპრიენკოს, თუ როგორი იყო მისი მუშაობის მეთოდი.

სამუშაოზე გასვლამდე აგრეგატის მთელი ჩემი შემადგენლობით საფუძვლიანად ვამოწმებდი კომბაინის და ტრაქტორს გავსწმენდდი, გავზეთავდი და ასე ხალისით შევუდგებოდი მოსავლის აღებას. კომბაინის მუშაობის დროსაც ვსინჯავდი, ჩქარა მივუხვდებოდი ხოლმე კაპრიზებს და მაშინვე ვღებულობდი ზომებს მოსალოდნელი გაჩერების თავიდან ასაცილებლად. ჩემი მეშტურვალე შ. მათიაშვილი, და ტრაქტორისტი ნარინდაშვილი კარგი ბიჭები იყვნენ. ისინი დავალებებს ყოველთვის პირნათლად ასრულებდნენ, მუშაობის წესებს იცავდნენ— გვიამბობს კუპრიენკო.

კუპრიენკოს 4 დეკემბერს მტს-ის მიერ მოწვეულ კომბაინერებისა და ტრაქტორისტების შეკრებაზე გააცნეს ამხ. სტალინის სიტყვა, წარმოთქმული მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერქალთა თათბირზე. 5 დეკემბრის გაზეთებში კი კუპრიენკომ აღფრთოვანებით წაიკითხა თავისი ამხანაგის ლუდუშაურის სიტყვა. მან მეორედ გადიკითხა, ჩაიცინა და სთქვა: **„არ ჩამოვრჩები ლუდუშაურს, მეც ვიძლევი 600 ჰექტარსო“.**

○

ვანო დარჩიაშვილიც საუკეთესო კომბაინერია. 15 სამუშაო დღეში მოსავალი 281 ჰექტარზე აიღო, დავალება ერთიორად შეასრულა, 372 კილოგრამი ბენზინის ეკონომია მიიღო. ახლა დარჩიაშვილი სოფ. ვაქირში ახალ სახლს იშენებს, შეძლებულ ცხოვრებას ქმნის.

მეორე წელია, რაც ვასილ კოვალიოვი კომბაინერად მუშაობს. ის ზეინკალიც არის და მონტაჟისტიც, მექანიკოსადაც ყოფილა. მან წელს წნორის მტს-ში კომბაინით მოსავალი 280 ჰექტარზე აიღო. ბენზინის ეკონომია 245 კილოგრამს შეადგენდა. კოვალიოვმა 15 დღეში 1300 მანეთი მიიღო და უკვე ოჯახისათვის გაიხმარა.

— არ მქონია შემთხვევა,—დაგვიცხადა კოვალიოვმა,— რომ მუშაობის დროს კომბაინი გამჩერებოდა. ისე ვუვლიდი კომბაინს, როგორც თვალის ჩინს. სოცშეჯიბრებაში ვიყავი ჩაბმული. ბევრს ვცდილობდი, მაგრამ ლუდუშაურმა მაინც 20 ჰექტარით გამისწრო წინო.

კოვალიოვი სიტყვას იძლევა, რომ 1936 წელს ისიც ერთიორად გაადიდებს მოსავლის აღების წლევანდელ ნორმას. წნორის მტს-ის კომბაინერებმა და ტრაქტორისტებმა, მემანქანეებმა იკისრეს ვადამდე და ხარისხიანად შეასრულონ ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტის გეგმა, იბრძოლონ საყვარელი ბელადის მითითებათა განუხრელად განხორციელებისათვის, სტახანოველთა რიგების გადიდებისათვის.

წნორი, 8 დეკემბერი.

▽ ▽ ▽ ▽ ▽

შირაქის საბჭოთა მეურნეობის გამოცდილი კომბაინერები



მარცხნიდან—მარჯვნივ: გ. მირზაბეგოვი, მ. ლაზარეშვილი, გ. დათუკიშვილი, კ. ხორინი, გ. ხოსიტაშვილი (გამოცდილი კომბაინერი, სახელოსნოს უფ. მექანიკოსი), ლ. ხალხელაური, ი. ხორინი, მ. ერშოვი, რ. მაისაშვილი

მანჯოუ-გოსი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოლაპარაკების ჩაშლა

25 ნოემბერს შესწყდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და მანჯოუ-გოს დელეგაციებს შორის სადგ. მანჯურიაში წარმოებული მოლაპარაკება, რომელსაც დადებითი შედეგები არ გამოუღია. მოლაპარაკების დაწყების საბაბი გახდა ამა წლის იანვარში გახმიანებული შეტაკება მონღოლეთისა და მანჯურიის სანაპირო ნაწილებს შორის ბუირ ნორის ტბასთან. როგორც აღნიშნული იყო საკ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტის 27 ნოემბერს ულანბატორიდან გამოგზავნილ დეპეშაში და როგორც გათამამებული გულახდილობით აღნიშნა თავის ცნობაში იაპონიის დეპეშათა სააგენტომ „სიმბუნრენგომ“, მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზი ის იყო, რომ მონღოლეთის დელეგაციამ უარი სთქვა იაპონია-მანჯურიის მხარის დაყენებულ და თავხედურ მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას უნდა ეცნო მანჯოუ გო. და დიპლომატიური წარმომადგენლები უნდა წარეგზავნათ ერთურთისათვის.

მოლაპარაკების ასეთი დასასრული, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის. მანჯოუ-გოს იაპონელი ბატონ-პატრონები და კერძოდ მის ზურგს უკან მდგომი კვანტუნის არმიის შტაბი სრულებითაც არ არიან დაინტერესებული სანაპირო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტით. ამ კონფლიქტებს ისინი თვითონ ჰქმნიან სადგ. მანჯურიაში წარმოებული 6 თვიანი მოლაპარაკების მთელი მსვლელობა გვიჩვენებს, რომ სხვა შედეგის მოლოდინი არც უნდა გვქონოდა მოლაპარაკების პროცესში იაპონიის მხედველობის ჩვეულებრივი სტილით მიხედვით მიმართავდნენ პროვოკაციულ ფანდებს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატებმა 3 ივნისს გახსნილ კონფერენციაზე გამოიჩინეს სრული მზადყოფნა დათანხმებოდნენ კონფლიქტის ნორმალურ გადაწყვეტას შერეული სანაპირო კომისიაში განხილვის გზით. თვით კონფერენცია მოწვეული იყო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადებით. მანჯოუ-გოს დელეგატებმა, პირიქით, პირველ ნაბიჯებიდანვე ცხადჰყვეს, რომ სანაპირო ინციდენტი ბუირ-ნორთან მათ იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ახალ გადაჭარბებულ მოთხოვნათა წარსადგენად. პირველსავე შეხვედრაზე მანჯოუ-გოს წარმომადგენლებმა თავი მიანებეს სანაპირო საქმეებს და მონღოლეთის დელეგაციას მოსთხოვეს ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ასეთი მოთხოვნის მიზანი სავსებით ნათელია. მანჯოუ-გოს წარმომადგენლობის სახით კვანტუნის შტაბს სხვა არა უნდოდა რა, თუ არა ულანბატორსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა პუნქტებში გაეხსნა ისეთივე ტიპის სამხედრო მისიები, როგორიც გახსნილი აქვს ჩრდილო ჩინეთისა და შიდა მონღოლეთის ბევრ პუნქტში, რათა ლეგალიზაცია მოეხდინა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში იაპონელთა მიერ წარმოებული ძირის გამომთხრელი მუშაობისთვის.

მონღოლეთის დელეგაციამ რომ არავითარი სურვილი არ გამოიჩინა ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა, კვანტუნის შტაბის ოსტატებმა თავისი წინადადებისთვის ახალი, უფრო ნამდვილი არგუმენტაციის ძიებაში სასწრაფოდ გამოაცხეს ახალი სანაპირო „შემთხვევა“. 23 ივნისს იმავე ბუირ-ნორის ახლოს, მონღოლეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისდა „უნებურად“ გაჩნდა ორი იაპონელი სამხედრო ტოპოგრაფი, მონღოლეთის სანაპირო მოხელეებმა ისინი უვნებლად ჩააბარეს მონღოლეთის მანჯოუ-გოს ხელისუფლებას. მათ კარგი მოპყრობისათვის მონღოლეთის ხელისუფალთ მადლობის წერილიც კი დაუტოვეს. მიუხედავად ამისა, მანჯოუ-გოს მთავრობამ 4 ივლისს მონღოლეთის მთავრობას მთელი რიგი ულტიმატიური მოთხოვნილება წარუდგინა სახელდობრ: ამ შემთხვევის პასუხისმგებლობის თავზე მიღება, ნებართვის მიცემა მანჯოუ-გოსთვის, რათა მან „თავისთვის მარჯვე პუნქტებში“ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე იყოლიოს სამი მუდმივი რწმუნებული, რომელთაც ექნებათ შესაძლებლობა მუდმივი კავშირი იქონიონ თავის მთავრობასთან და ექნებათ თავისუფლად გადასვლა-გადმოსვლის უფლება, თავისი თავხედობით ამ გაუგონარ მოთხოვნილებას ცალმხრივი წარმომადგენლების საშუალებით კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შესახებ ისიც თავის არჩეულ პუნქტებში, მუქარა, მიაყოლეს—თუ უარს გვეტყვით, წარმოგიდგენთ ახალ მოთხოვნას აღმოსავლეთ საზღვრიდან მონღოლეთის ჯარების გაყვანის შესახებო.

შთაბეჭდილების გასაძლიერებლად კვანტუნის შტაბის წარმომადგენელმა მაიორმა საკურაიმ იმ დღესვე იაპონიის სარდლობის სახელით გაუმეორა ულტიმატუმი მონღოლეთის დელეგაციის მეთაურს სამბუს ამას გარდა საკურაიმ დაუმატა ახალი მოთხოვნა — ნება დართეთ კვანტუნის არმიას გაგზავნოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში თავისი წარმომადგენელი და მონღოლეთის ტერიტორიაზე გაიყვანოს ტელეგრაფის ხაზი, რათა კავშირი იქონიოს თავის წარმომადგენელთანო. საკურაის გამოსვლაში, როგორც ვხედავთ უკვე სრულიად გაჰქრა დიპლომატიური გარნირი და ლაპარაკია სამხედრო მისიის გაგზავნის შესახებ, რომ იტყვიან გულახდილად.

თუმცა ამ ულტიმატუმს ხქლად ჰქონდა წაცხებული სამურაის სალებავი. მაგრამ მან მაინც ვერ გამოიღო მისი ავტორებისთვის სასურველი ეფექტი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, როგორც თავისი ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე მდგომმა, მტკიცედ უარჰყო ეს ახალი მოთხოვნები და განაცხადა, რომ იგი წინანდებურად მომხრეა შერეული კომისიის დაარსებისა, რომელიც ადგილობრივ განიხილავს ყოველ სანაპირო. კონფლიქტს.

როდესაც მანჯოუ-გო დარწმუნდა, რომ ნახტომი შეეშალა და ნომერი არ გაუვიდა, თავი დაანება თავისი წარმომადგენლების ცალმხრივი გაგზავნის დაყენებით მოთხოვნას და ამის ნაცვლად კვლავ შესთავაზა მუდმივი რწმუნებულების ურთიერთ გაგზავნა.

მონღოლეთის მთავრობის პასუხი, რომ ის თანახმაა მუდმივი რწმუნებულთა გაცვლა-გამოცვლაზე სანაპირო კომისიებში იმ პირობით, რომ მათი ფუნქციები განისაზღვრებოდეს მხოლოდ სანაპირო საკითხების გადაწყვეტით და რომ ისინი იყვნენ საზღვართან ახლო მდებარე პუნქტში და არა ქვეყნის დედაქალაქში, აგრეთვე არა რამდენსამე პუნქტში, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა მანჯოუ-გოს წარმომადგენლებს, რამდენადაც მათ სურდათ სამი რწმუნებულის ქველა, ამათგან ერთის ულან-ბატორში, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლისა. იაპონია-მანჯურიის დელეგაციამ უარი სთქვა მოლაპარაკების გაგრძელებაზე მას შემდეგ, რაც უშედეგოდ სცადა მონღოლეთის დელეგატების დაყოლიება.

რამდენადაც მოლაპარაკების ჩაშლა დაემთხვა იაპონიის ახალ შეტევას ჩრდილო ჩინეთში, შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ იაპონიის მხედრობა, რომელიც ამჟამად „დიდ საქმეებშია“ გართული ჩინეთში, დიდი ხნით მიანებებს თავს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას. მაგრამ ამის ფიქრი დიდი შეცდომა იქნება. მონღოლეთი გუშინდელი დღიდან როდი იზიდავს იაპონელ იმპერიალისტებს. თავის დროზე, ჯერ რუსის თეთრგვარდიელი ატამანის სემიონოვის, შემდეგ ბარონ უნგერნის და იაპონიის მორჩილი ყმის ჩინელი მილიტარისტი გენერლის სიუი-ში ჩუენის („პატარა სიუი“) საშუალებით, მათ სამჯერ უშედეგოდ სცადეს დაედოთ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისათვის თავისი თათი და ამ დამპყრობელთა ბანდებთან ბრძოლამ მონღოლეთის საარატოს ბევრი სისხლი და მსხვერპლი შეიწირა.

მანჯოუ-გოს შექმნის დღიდან იაპონიაში უფრო იმატა მონღოლეთის, პრობლემის ინტერესმა, რამდენადაც აქ იაპონელებმა ექსპერიმენტატორების როლში იგრძნეს თავი და დააჩქარეს მანჯოუ-გოს მონღოლთა გამოყოფა ხინანის ცალკე პროვინციად. სადაც მთლიანად აღადგინეს მთავრობისა და ლამოზის უფლება-უპირატესობანი და აღადგინეს მანჯურიის ძველი ადმინისტრატიული სისტემა. ამ მოჩვენებითი „ავტონომიის“ დანიშნულება. მისი შემქნელთა აზრით, არის პოლიტიკური საჯენკი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობისთვის. ამ უკანასკნელის საარატოს უნდათ დაანახონ, თუ რა „კარგად“ ცხოვრობენ მონღოლები მანჯოუ-გოში მთავართა ხელში, რომელნიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან რა ხანია გამორეკეს.

იაპონიის მილიტარისტების კონტინენტალური გეგმების ასპექტში მთელი მონღოლეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის და შიდა მონღოლეთის მანჯოუ-გოს საზღვრებს გარეთ დარჩენილი ნაწილის დაპყრობა იაპონიის პუბლიცისტიკაში მიჩნეულია უკვე არა პრობლემად, არამედ სწორედ დღევანდელი და არა ხვალინდელი დღის პრაქტიკულ ამოცანად. ამ ამოცანის დადებითად გადაწყვეტა იაპონიის იმპერიალიზმს უქადის მაცთუნებელ შესაძლებლობას იმისას, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორია და რესურსები გამოიყენოს სამახაციოდ ორ ფრონტზე—როგორც ჩინეთის, ისე სსრ კავშირის წინააღმდეგ.

მანჯოუ-გოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოლაპარაკების ჩაშლის გამო ვრცელი მემორანდუმი გამოუშვა, რომელიც თავდება მრავალ მნიშვნელოვანი განცხადებით: ის გარემოება, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ არ მიიღო ასე თავაზიანად და მოკრძალებით შეთავაზებული წინადადება მანჯოუ-გოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა, „ნებას არ აძლევს მანჯოუგოს გარე მონღოლეთი ჩვეულებრივ ნორმალურ სახელმწიფოდ ჩასთვალოსო“. ამიტომ, „ხედავს რა გარე მონღოლეთში გაუგებარსა და საშიშ ქვეყანას, რომელიც მანჯოუ-გოს საზღვარზე იმყოფება, მანჯოუ-გო ჰფიქრობს დამოუკიდებლად მოაგვაროს როგორც ის ღია საკითხები, რომელთაც კონფერენციის ჩაშლის გამო, უკვე დაჰკარგეს გადაწყვეტის შანსები, ისე ყველა საკითხი, საერთოდ, რომელნიც შესაძლოა მომავალში აღმოცენდნენ, და მანჯოუ-გო ამ საკითხებს თავის ნებასურვილის მიხედვით გადასწყვეტს“.

ამ სიტყვებში სრულიად არაორაზროვანი მუქარაა გამოხატული. სახალხო სარევოლუციო პარტია და მონღოლეთის არატთა მშრომელი მასები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ მოიგერიონ იაპონიის მილიტარისტების მეოთხე ცდა მათი ქვეყნის დასაპყრობად. მაგრამ ტოკიოს მთავრობამ კარგად იცის, თუ რა საშიშ ავანტურას წარმოადგენს მისთვის ამ მუქარის განხორციელება. ამიტომ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ იგი დროზე შეაჩერებს თავგასულ კვანტუნის მილიტარისტებს.

(„პრავდა“, 9 დეკემბერი).

იტალია-აბისინიის ომი

„კომუნიზმის აჩრდილი დაძრწის“ პოლონეთში

ვარშავა, 9 დეკემბერი. პოლონეთის უკრაინელი ფაშისტების ორგანო „დილო“ სტატიაში, რომლის სათაურია „კომუნისტური სიმპატიების რეკორდი“, შეშფოთებას გამოსთქვამს პოლონეთის უკრაინელი გლეხობის სიმპატიების გამო.

„ჩვენს ცხოვრებაში,—სწერს „დილო“,—გაბატონებული მოვლენაა კომუნისტური, უფრო სწორად რომ ვთქვათ—საბჭოთაფილური სიმპატიების (საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიების) განუხრელი ზრდა უკრაინელ მასებს შორის, კერძოდ ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში. - ვოლინისა და პოლესიეს სავოევოდოებში და ხოლმის მაზრაში“.

„დილო“ დიდი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ანტისაბჭოთა კამპანია, რომელსაც ფაშისტები დასავლეთ უკრაინაში იწევენ, ხელს ვერ უშლის საბჭოთა კავშირისადმი მშრომელ გლეხთა სიმპატიის ზრდას.

„ცნობები საბჭოთა უკრაინიდან —აღნიშნავს „დილო“,—ჩვენს სოფლებში ვრცელდება არა მარტო მტრული, ან კომუნისტებისადმი მეგობრულად განწყობილი პრესის საშუალებით, არამედ ნათესავთა და ნაცნობთა წერილების საშუალებითაც. დასავლეთ უკრაინის რაიონებში უეჭველად ერთი რწმენა იქმნება: იქ, კორდონს გაღმა, ცხოვრება უფრო-და-უფრო უმჯობესდება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იქ იგრძნობა ცხოვრების მძაფრი ტემპი, შრომის ისეთი ზრდა და გაქანება რომელიც შეჯიბრების, სტახანოვური მოძრაობის ხასიათს ღებულობს“.

შემდეგ „დილო“ ათავსებს ზოგიერთ ცნობას, რომლებიც ცხადჰყოფენ საკოლმეურნეო წყობილების წარმატებებს საბჭოთა კავშირში. და სწერს:

„პოლონეთის უკრაინელ გლეხობაში ძალიან ნიშნურად იბადება თავის საკუთარ ცხოვრებასთან შედარების დაუძლეველი სურვილი“.

„დილო“ სტატისტიკური ცნობებით ასურათებს გლეხთა მასების საშინელ გაჭირვებას პოლონეთში. განსაკუთრებით დასავლეთ უკრაინაში, ყოდიეს სიკვდილიანობას და შიმშილობას მთელ რიგ რაიონებში, უკრაინელი მოსახლეობის დამონებასა და პოლიტიკურ უფლებათა ლიკვიდაციას. გაზეთი კითხვას აყენებს:

„რა შეიძლება დაუპირისპირდეთ ჩვენი გლეხების მისწრაფებას აღმოსავლეთისაკენ, როცა ჩვენი გლეხები ტყობილობენ, რომ არსებობს უკრაინული თეატრი, კინო. რადიო და უკრაინული წიგნები, რომ იბიც საზღვარს იქით გამოდის?“.

„ამიტომ არის,—ასკვნის უკრაინელი ფაშისტების ორგანო,—რომ კომუნიზმის ზრდა ჩვენს მასებში, კერძოდ ჩვენს ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში უაღრესად საშიში მოვლენა ხდება, ვინაიდან იგი ღრმად იდგამს ფესვებს“ (ადს).

მდგომარეობა სამხრეთ ფრონტზე

ლონდონი, 9 დეკემბერი. იტალიის წყაროები ამტკიცებენ, რომ სამხრეთ ფრონტზე, მდინარე დავასა და კენიის საზღვარ შუა (ინგლისის კოლონია) რას დესტის არმია გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა და შეიძლება იძულებული გახდეს კენიის საზღვარს გადავიდეს და მტერს დანებდესო. მაგრამ „ტაიმსის“ ადისაბებელი კორესპონდენტის ცნობა სულ საწინააღმდეგოს ლაპარაკობს. მისი სიტყვით, „იტალიის ჯარი ოგადენში თითქმის მთლად ხელფეხშებორკილია“. არავითარი ცნობა არ არის იმის დასადასტურებლად რომ იტალიელები ავითარებენ შეტევას რას დესტის არმიის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამასწინათ რას დესტის არმიასა და იტალიელთა დიდ ძალებს შორის დოლოს ჩრდილოეთით გაფთრებული ბრძოლა მოხდა. იტალიელებს 700 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს, აბისინელებს — 850. აბისინიის ჯარებმა ხელთ იგდეს იტალიელთა 2 ტანკი (ადს).

აბისინიის ჯარებმა იტალიის სომალის საზღვარზე დაიკავეს ატო

ლონდონი, 10 დეკემბერი. „ტაიმსის“ ადის-აბებელი კორესპონდენტის ცნობებით, ნეგუსმა გუშინ რას დესისაგან მიიღო ცნობა, რომ აბისინიის ჯარებმა დაიკავეს ატო, იტალიური სომალის საზღვარზე, დოლოსა და მდინარე ვებიშებელს შუა.

რეიტერის გადმოცემით, ავაშში (ადის-აბებ-ჯიბუტის რკინიგზაზე) დააპატიმრეს ოთხი იტალიელი მღვდელი. დაპატიმრებულთ, რომლებიც სამოქალაქო ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი, დიდძალი ფული აღმოაჩნდათ.

„დეილი ტელეგრაფი“ ადის-აბებიდან იუწყება, რომ აბისინიის ფოსტის მინისტრმა ცენზორებს უბრძანა გახსნან ხოლმე ყველა წერილი, რომლებიც საზღვარგარეთ იგზავნება და იქიდან შემოდის. ბრიტანეთის ვაჭართა ასოციაციამ ნეგუსს პროტესტი განუცხადა ამ ბრძანების წინააღმდეგ. (ადს).

დესის ბომბარდირების მსხვერპლნი

ლონდონი, 9 დეკემბერი. „დეილი ტელეგრაფის“ დესელი კორესპონდენტი დაწვრილებით იუწყება ამ ქალაქზე იტალიელ ყუმბარმშენთა თავდასხმის შედეგებს. მას უნახავს ყუმბარებისგან თავმოგლეჯილი დედა, მასთან ორი თავმოგლეჯილი ბავშვი, ორი ფეხმოგლეჯილი ქალი, ერთი ბავშვი — ხერხემალდამტვრეული, მეორე — ხელფეხდაჩეჩქვილი.

ადის-აბებაში 6 სატვირთო ავტომანქანით ჩაიყვანეს დესის საჰაერო ბომბარდირების დროს დაჭრილები (ადს).

თვითმკვლელობათა ეპიდემია ბერლინში

პარიზი, 9 დეკემბერი. „პარი მიდი“ იუწყება „თვითმკვლელობათა ეპიდემიაზე, რომელიც ამჟამად ბერლინში მძვინვარებს“. გაზეთი სწერს, რომ მარტო გუშინ იქ ექვსმა კაცმა მოიკლა თავი (ადს).

ჩინეთის წითელი არმიის შეტევა ხუნანის პროვინციაში

ნანკინის მე-28 არმია სასტიკად დაამარცხეს

ტოკიო, 9 დეკემბერი. სინბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის 30 ათასიანმა წითელმა არმიამ ხოლუნისა და სიაო კეს სარდლობით, გაარღვია ნანკინის მე-20 დივიზიის ფრონტი ხუნანის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და სასტიკად დაამარცხა დასავლეთ ხუნანში ნანკინის მე-28 არმია, რომელსაც გენერალი ლუ ციან-სუ სარდლობდა.

ჩინეთის წითელმა არმიამ განავითარა შეტევა სამხრეთის მიმართულებით მდინარე იუანის გასწვრივ და ხუნანის პროვინციის დასავლეთ ნაწილში უკვე დაიკავა 8 მაზრა. წითელი არმიის ავანგარდმა 7 დეკემბერს ჩუნცზიანს მიაღწია.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთის წითელი არმია გუანსის პროვინციას უახლოვდება, გუანსის მთავრობამ საზღვარზე 3 დივიზია გაგზავნა. გუანდუნის პროვინციის ჯარების სარდალმა ჩენ ცზი-ტანმაც გაგზავნა ხოიანის საზღვარზე თავისი ჯარების მეორე არმია (ადს).

მიტინგები სსრ კავშირთან მშვიდობიანობისა და მეგობრობის კონგრესის პატივსაცემად

ლონდონი, 9 დეკემბერი. გუშინ საღამოს ლონდონში სსრ კავშირთან მშვიდობიანობის და მეგობრობის კონგრესის პატივსაცემად გაიმართა მიტინგები და კინოფილმების ჩვენება. მიტინგს დაესწრო კონგრესის თითქმის ყველა დელეგატი და ბევრი სტუმარი, მათ შორის ცნობილი მწერლები, პოლიტიკური მოღვაწენი და მეცნიერები. ადგილის უქონლობის გამო აუარებელი ხალხი დარბაზს გარეთ დარჩა. პროგრამა დაიწყო კადრების ჩვენებით „ჩელუსკინის“ ფილმიდან ეკრანზე შმიდტის გამოჩენას ტაშის გრიალით შეხვდნენ. ტაში ოვაციად იქცა, როდესაც კონგრესის თავმჯდომარე ლორდი ლისტოუელი სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელ მაისკისა და შმიდტთან ერთად ესტრადაზე ავიდა.

ლისტოუელმა წარმოსთქვა სიტყვა სსრ კავშირთან მშვიდობიანობისა და მეგობრობის კონგრესის მნიშვნელობის შესახებ და მიესალმა შმიდტს, როგორც ისეთ ფიგურას, რომელიც სსრ კავშირის საგმირო საქმეთა სიმბოლოს წარმოადგენს. შმიდტმა საპასუხო სიტყვაში კონგრესის დელეგატებს მიულოცა წარმატებანი და მიესალმა დელეგატებს, როგორც საბჭოთა ისეთი მოქალაქე, რომელიც დარწმუნებულია, რომ გამოხატავს სსრ კავშირის ხალხთა გრძნობებს. შმიდტმა გამოსთქვა იმედი, რომ მალე ინგლისის საზოგადოება საბჭოთა ხელოვნების სხვა დარგებს, გაიცნობს. მან ხაზი გაუსვა საბჭოთა ხელოვნებას, საბჭოთა ლიტერატურას და მეცნიერებას შეუძლიათ გვიჩვენონ ახალი ადამიანი, ახალი ჰუმანიზმი, რომელიც იზრდება დიდი პროლეტარული რევოლუციის მიერ შექმნილ შესაძლებლობათა მეოხებით. დასასრულ შმიდტმა დასძინა: დარწმუნებული ვარ, რომ სსრ კავშირთან მშვიდობიანობისა და მეგობრობის კონგრესმა ხელი შეუწყო საყოველთაო მშვიდობიანობასო.

ამის შემდეგ უჩვენეს ფილმი „სსრ კავშირი 1935 წელს“, რომელშიც ასახულია საბჭოთა კავშირში იმ მუშათა დელეგაციების მოგზაურობა, რომელნიც საპირველმაისო ზეიმზე ჩამოვიდნენ. ფილმს დიდი წარმატება ჰქონდა. განსაკუთრებული ენტუზიაზმი გამოიწვია პარადმა წითელ მოედანზე. ამხანაგი სტალინის ყოველი გამოჩენა იწვევდა აუდიტორიის მქუხარე ტაშს, თუმცა უმეტესობა სულაც არ ეკუთვნოდა კომუნისტებს.

შემდეგ მსახიობმა დლახეიმ წარმატებით შეასრულა საბჭოთა სიმღერები, მათ შორის მარში „მხიარული ახალგაზრდობიდან“. უჩვენეს აგრეთვე ფილმი „სამი სიმღერა ლენინზე“.

გაზეთების უმეტესობა დაწვრილებით იუწყება კონგრესის ამბავს. ყველა გაზეთი ცალკე ბეჭდავს ლორდ ალენის მოწოდებას ინგლისსა და სსრ კავშირს შორის მეგობრული კონტაქტის დამყარების შესახებ (ადს).

გზათა სახალხო კომისარიატის მიერ დატვირთვის წლიური გეგმის შესრულება

მოსკოვი, 9 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის რკინიგზებმა 7 დეკემბერს შეასრულეს დატვირთვის წლიური გეგმა.

მთავრობის მიერ გეგმად ნავარაუდევი იყო 63 ათასი ვაგონის დატვირთვა დღეღამეში, ხოლო 22.995 ათასისა წელიწადში.

1935 წლის დამდეგიდან 7 დეკემბრამდე ჩათვლით რკინიგზებმა დატვირთეს 23.061.611 ვაგონი — 100,3 პროც. წლიური გეგმისა.

შარშან ამ ხნის განმავლობაში დატვირთეს 19.035852 ვაგონი. ანუ საშუალოდ დღეღამეში 55.823 ვაგონი.

ამგვარად 1935 წლის დატვირთვა შარშანდელს სჭარბობს 4025759 ვაგონით. ანუ 21,1 პროცენტით.

კვარტალებისა და თვეების მიხედვით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა შემდეგნაირად მატულობდა:

1 კვარტალი—55.282 ვაგონი.
2 კვარტალი—67.978 ვაგონი.
3 კვარტალი—73.737 ვაგონი.
4 კვარტალი—75.241 ვაგონი.
(7 დეკემბერი).

11 თვისა და 7 დღის საშუალო სადღეღამისო დატვირთვა იყო 67629 ვაგონი,—107,3 პროც. 1935 წლისათვის გეგმით გათვალისწინებული საშუალო სადღეღამისო დატვირთვისა.

მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმით რკინიგზებს უნდა გადაეზიდათ 1935 წელს 358 მილიონი ტონა ტვირთი. წლის დამდეგიდან 7 დეკემბრამდე გადაზიდულია 361,5 მილ. ტონა ანუ გეგმის 101,0 პროცენტი. შარშანდელი წლის სათანადო პერიოდებთან შედარებით 1935 წელს (7 დეკემბრისთვის), 21,6 პროცენტით მეტი ტვირთია გადაზიდული.

მთავრობის მიერ დადგენილი იყო კომერციული მატარებლების ტვირთბრუნვის გეგმა 1935 წლისთვის 229,1 მილიარდი ტონა კილომეტრის რაოდენობით. 7 დეკემბრისთვის შესრულებულია 241,1 მილიარდი ტონა—კილომეტრი—წლიური გეგმის 105.2 პროცენტი. შარშანდელი წლის სათანადო პერიოდთან შედარებით. ის იძლევა 25,5 პროცენტით მატებას.

7 დეკემბრისთვის გადაჭარბებით შეასრულა დატვირთვის წლიური გეგმა 16 გზამ: სამხრეთ-დასავლეთის. ეკატერინეს. პერმის, მოსკოვ-ყაზანის. მოსკოვ-კურსკის. ბაიკალის მიღმის. კიროვსკის. რიაზან-ურალის, ჩრდილოეთის. ორენბურგის. დასავლეთის. მ. სალთქო. უსურიისა. სამარა—ზლატოუსტისა. „თურქსიბის“ და აღმოსავლეთ-ციმბირის გზებმა (ადს).

ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების ფრიადოსანთა დაჯილდოება

მოსკოვი, 9 დეკემბერი. სსრ კავშირის შინავაჭ სახ. კომის. ამხ. ვეიცერმა ძვირფასი საჩუქრებით დააჯილდოვა მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინისა და გორკის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 25 ფრიადოსანი (ადს).

მსოფლიო პირველობისათვის

მოსკოვი 9 დეკემბერი. 8 დეკემბერს ამსტერდამში გათამაშდა ალიოხინ-ეივეს მატჩის მე-28 პარტია. ალიოხინის მდგომარეობა მატჩში იძულებულს ხდის მას მოგებაზე ითამაშოს. ამით აიხსნება დაძაბული ბრძოლა ამ პარტიაში, მე-40 სვლის შემდეგ პარტია გადაიდო. ალიოხინს აქვს ერთადერთი პოზიციური უპირატესობა და ზედმეტი გაორებული პაიკი.

გუშინ პარტია დასრულდა, ალიოხინის უპირატესობა საკმარისი არ გამოდგა პარტიის მოსაგებად. მე-63 სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიში—14,5:13.5 ეივეს სასარგებლოდ.

მდგომარეობა გერმანიაში

პრაღა, 9 დეკემბერი. ჩეხოსლოვაკიის გაზეთ „პონდელი“ ბერლინიდან იტყობინება:

„გერმანიის მოსახლეობის მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმე ხდება. პროდუქტების ნაკლებობა ისეთ აღშფოთებას იწვევს მოსახლეობის შორის და სულიერი განწყობილებაც ისეთი ხდება, როგორიც გერმანიაში არ უნახავთ 1914—1918 წლების ომის დამთავრების შემდეგ. გერმანიის წინაშე დგას შიმშილობის ზამთრის აჩრდილი“.

გაზეთის სიტყვით, რამდენიმე დღის წინათ გერმანიის სამხედრო სამინისტროში სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით შესდგა არმიის, პოლიციის და მცველი რაზმების წარმომადგენელთა საიდუმლო თათბირი. თათბირმა განიხილა საკითხი, თუ როგორ უნდა იყვნენ მომზადებული მოსახლეობის შორის მღელვარების შემთხვევისათვის. გაზეთის სიტყვით. არმიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „თუმცა უშუალო გამოსვლების საფრთხე ჯერ არ არის. მაგრამ მაინც ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყოთ. ამასთან მან მოითხოვა, რომ არმია არ ჩარიონ ამ საქმეში, ვინაიდან არავის შეუძლია ახალგაზრდა ჯარისკაცთა იმედი იქონიოსო. მაშინ მცველი რაზმების წარმომადგენლებმა მოითხოვეს მათი რაზმების შეიარაღების გაძლიერება. არმიამ თითქოს უარყო ეს წინადადება. საერთოდ, დასკვნის გაზეთი არმიის წარმომადგენლები ამ თათბირზე „საკმაოდ ავტორიტეტულად გამოდიოდნენ“ და აცხადებდნენ, რომ არმიას არ მიუძღვის ბრალი სურსათის ნაკლებობაში და მას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება სახელმწიფოში შექმნილი მდგომარეობისთვისო.

ვენა, 9 დეკემბერი. ბაზელის გაზეთ „ნაციონალცეიტუნგის“ ბერლინელი კორესპონდენტის გადმოცემით, მთელს გერმანიაში სწარმოებს მასობრივი დაპატიმრებანი, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს „წესიერ გერმანელთა ფრონტს“ უწოდებს, ავრცელებს არალეგალურ ფურცლებს. ეს ფურცლები ამჟღავნებენ გამოძალვის, მექრთამეობის და მტაცებლობის უამრავ ფაქტებს, რომლებსაც ფაშისტი მოხელეები სჩადიან.

კარაქისა და ხორცის ნაკლებობასთან ერთად სულ უფრო და უფრო მწვავე ხდება კარტოფილის ნაკლებობა. აღნიშნავენ რა კარტოფილის ძალიან უმნიშვნელო მოსავალს, კორესპონდენტები იუწყებიან, რომ უკვე 1936 წლის იანვარში კარტოფილის მარაგი ძირითადად ამოწურული იქნებაო.

ვენის გაზეთი „ტელეგრაფი“ იუწყება, რომ ამ დღეებში ბერლინში, ბისმარკშტრასეზე, რამდენიმე დუქანთან 100-ზე მეტი ქალი სასტიკ პროტესტს აცხადებდა ხორცის ნაკლებობის წინააღმდეგ. იგივე გაზეთი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს მოსახლეობის შორის საგრძნობლად გაძლიერდა არალეგალური პოლიტიკური პროპაგანდა (ადს).

ვალ. მგალობლიშვილი

ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასებისათვის

ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ბევრი არამკითხე ჭირისუფალი აღმოუჩნდა როგორც მემარჯვენე ეპიგონთა, ისე „მემარცხენე“ სოციოლოგთა სახით. თუ პირველნი ამ მემკვიდრეობას მარქსისტულ-ლენინური გადამუშავებისა და კრიტიკული ათვისების ნაცვლად უკრიტიკოდ იღებდნენ, მეორენი არსებითად მისი უარყოფის ტროცკისტულ-ლიკვიდატორულ პოზიციებამდე ჩამოქვეითდნენ.

პარტიულმა კრიტიკამ მათ წინააღმდეგ ორ ფრონტზე გააჩაღა თანამიმდევრული ბრძოლა: როგორც ერთი, ისე მეორე უკიდურესობის შეცდომები გამოამჟღავნა და გაანადგურა, მაგრამ მათი ნაშთები აქა-იქ კიდევ ბოგინობენ და ზოგჯერ სიცოცხლის უნარსაც იჩენენ. განსაკუთრებით ეს „მემარცხენე“ ვულგარიზატორებზე შეიძლება ითქვას. ზოგიერთი მათგანი დღესაც ძველ, ანტიმარქსისტულ თვალსაზრისს ადგია ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასების საკითხში. კ. მელაძის წიგნი „კლასიკოსების შესახებ“ ამის მაგალითია.

კლასიკოსების შეუფასებლობა, მათი ვულგარული გაბიაბურების ცდა, მათ მემკვიდრეობაში ჩვენთვის მისაღები და კრიტიკულად ასათვისებელი „რაციონალური მარცვლის“ არდანახვა — აი „მემარცხენეთა“ პოზიციის არსი. სამართლიანად აჰშობდა ამხ. ლ. ბერია საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-9 ყრილობაზე: „ზოგიერთი კომუნისტი კრიტიკოსი თავის „მემარცხენე“ ნახტომებში და ჯგუფურ ბრძოლაში მიდის კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფამდეო“.

და მართლაც, ჩვენ ხშირად გვაგონია „მემარცხენეობისაგან“: ილია ჭავჭავაძემ დღის ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგა, იგი თავის დროზეც მხოლოდ რეაქციონერი, თავადი და მემამულე იყოო; ნიკ. ბარათაშვილი მარტოოდენ წარსულს ეკუთვნისო; ვაჟა ფშაველა უკულტურო, საშუალო საუკუნოებრივი უმეცრების მომღერალიაო და სხვ. ეს კრიტიკოსები საბჭოთა მკითხველებში სთესდნენ კლასიკოსებისადმი ღვარძლიან სიძულვილს და ზიზღს, დაუმსახურებელ ჩრდილს აყენებდნენ მათს მხატვრულ შემოქმედებას, იმის ნაცვლად, რომ გაერჩიათ ამ შემოქმედების უარყოფითი და დადებითი მხარეები, კრიტიკულად დაეძლიათ და აეთვისებინათ ისინი.

ამ კრიტიკოსთა პოზიცია ტროცკისტულ-ლიკვიდატორული იყო და არა მარქსისტულ-ლენინური. ისინი ფრიჩეულ „სოციოლოგიზმის“ ძირგამხმარ უნაყოფო ხეს ეყრდნობოდნენ. მაგრამ ამავე დროს, ქართული ლიტერატურის ისტორიული ძეგლების შეფასებისას ისინი ხშირად იშველიებდნენ ჩვენი პარტიული კრიტიკის წარმომადგენლების და კერძოდ ამხ. **ფ. მახარაძის** შრომებს ლიტერატურის საკითხებზე.

ამხ. ფ. მახარაძის შრომებიდან კი „მემარცხენე“ კრიტიკოსები სწორედ იმ დებულებებს იზიარებდნენ და იმეორებდნენ, სადაც არა სწორი, არსებითად ლიკვიდატორული აზრებია გამოთქმული ქართველ კლასიკოსებზე.

ეს კრიტიკოსები ჰფიქრობენ, რომ ამხ. მახარაძის ნაშრომები ქართული, კერძოდ კი მე-19 საუკუნის ლიტერატურის საკითხებზე წარმოადგენენ მთლიანად შეუმცდარ, მთლიანად მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებათა განვითარებას. და ისინიც, ყოველი მორიგი ვულგარიზატორული დებულების დასაბუთებისათვის ამ ნაშრომებს. იქ გამოთქმულ შემცდარ აზრებს მიმართავდნენ და ზოგჯერ ახლაც მიმართავენ ხოლმე.

აი რას სწერს, მაგ. მელაძე ამ საკითხზე: „მარქსისტულად დამუშავებული თუ მოგვეპოვება რაიმე მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის შესახებ, ეს მხოლოდ ამხ. მახარაძის შრომებშია მოცემული“ („კლასიკოსების შესახებ“, გვ. 106). სხვები უფრო ვრცლად ეხებიან ამხ. ფილიპეს მოღვაწეობის ამ მხარეს. ამხ. ალ. სულავამ, მაგ. ბროშურა გამოსცა „ფილიპე მახარაძე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი“ (ტფილისი, „ფედერაცია“, 1933 წ.). რას, წარმოადგენს ეს ბროშურა? მართლაც ობიექტურად განიხილავს თუ არა ავტორი ამხ. მახარაძის ნაშრომებს ლიტერატურის საკითხებზე, ობიექტურად აღნიშნავს თუ არა მათს ნაკლსა და ღირსებას? სამწუხაროდ არა. წიგნი მხოლოდ ბრმა ქებაა ამხ. მახარაძისა, როგორც კრიტიკოსისა, და არა საკითხის გულდამჯდარი და საფუძვლიანი გარჩევა.

ამასთან ამხ. სულავაც სრული უმცდარობის მორიგ ბეჭედს აკრავს ამხ. მახარაძის მთელ რიგ შემცდარ დებულებებსა და მოსაზრებებს ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობისა. განსაკუთრებით კი „მესამე დასის“ საკითხებზე. საერთოდ იგი ასე აფასებს ამხ. მახარაძის მოღვაწეობის ამ მხარეს: „ფ. მახარაძის ლიტერატურული კონცეპცია მხატვრული მოვლენების შეფასების საქმეში ჭეშმარიტი მარქსისტულ-პუბლიცისტური ხასიათისაა“. (იხ. ხსენებული წიგნი, გვ. 63).

ვნახოთ, თუ რამდენად სწორი და მართებულია ეს დებულება.

უდავოა ამხ. ფ. მახარაძის თვალსაჩინო დამსახურება. ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიის შესწავლაში, კერძოდ დიდი მწერლის დანიელ ჭონქაძის შემოქმედების შეფასებაში. ისიც ცხადია, რომ უკანასკნელ წლებში ამხ. მახარაძემ დიდი ენერგია დახარჯა მემარჯვენე-ფედერალისტურ იდეოლოგთა წინააღმდეგ ნაყოფიერ ბრძოლაში.

მაგრამ ამ რთულ ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის პერიოდში ამხ. მახარაძემ ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასებაში ჩაიდინა მთელი რიგი შეცდომები, რომლებიც გამომდინარეობენ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ლენინურ-სტალინური მოძღვრების უგულებელყოფიდან, ამხ. მახარაძის შემცდარი დებულებიდან ჩვენში მწერლობის წარმოშობის, მესამე „დასის“, ჩვენი კულტურის და სხვ. საკითხებზე.

ამ შემცდარ მოსაზრებებს და ამხ. მახარაძის ავტორიტეტს კი ხშირად საფარად იყენებდნენ „მემარცხენე“ კრიტიკოსები.

ერთ მაგალითს დავასახელებთ. პლ. ქიქოძის და დ. ბენაშვილის „მემარცხენე“, არსებითად ტროცკისტულ კრებულში „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“ დაბეჭდილია პ. ქიქოძის სტატია: „ვის ხელშია კლასიკოსები?“.

რას სწერს ქიქოძე, რითი ხსნის იგი საბჭოთა მკითხველის დაინტერესებას კლასიკოსებით? მოვუსმინოთ:

„კლასიკოსების პრობლემის აქტუალობას საერთოდ სერიოზული საზოგადოებრივი მიზეზებიც აქვს; კლასიკოსების შემქმნელი, მათი იდეურად მასულდგმულებელი საზოგადოებრივი კლასების ნარჩენები დღესაც არსებობენ. არსებობს ფეოდალური მწერლობის ერთერთი მასულდგმულებელი ძალა — ფეოდალური ინტელიგენციის ნარჩენების სახით. არსებობს ხალხოსნური ილუზიების შთამომავალი, „დემოკრატიულად“ განწყობილი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ნარჩენები, ცოცხალია გლეხობის კულაკური ნაწილი და ყველა ეს თენები არამც თუ კითხულობენ, არამედ იდეურადაც უთანაგრძნობენ ყველაზე უფრო რეაქციურ კლასიკოსებს“.

ასეთია ტროცკისტ ქიქოძის და მისი ჯგუფის წევრების (ფრ. ნაროუშვილი, დ. ბენაშვილი და სხ.) საერთო მოსაზრება კლასიკოსებზე და მათი აქტუალობის მიზეზებზე. ამხ. ფ. მახარაძე, იმის ნაცვლად, რომ ყური აეწია ამ ხალხისათვის. გამოემჟღავნებინა მათი შეცდომები, წინასიტყვაობას უწერს მათს პირველ წიგნს („ბრძოლა კლასიკოსებისათვის“), ხოლო ზემოთხსენებ კრებულში, ქიქოძის სტრიქონების გვერდით, ასე აფასებს მათს პოზიციას: „მეტია ლაპარაკი, რომ ეს ახალგაზრდები **სწორ მარქსისტულ - ლენინურ პოზიციაზე დგანან და ბოლშევიზმის ერთგული დამცველები არიანო**“ (ხაზი ავტორისაა. იხ. კრებული „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“, გვ. 49 და 51.).

აი, ასეთმა დაუკვირვებელმა, არსებითად შემცდარმა შეფასებამ გაათამამა არა მარტო ეს ადამიანები, არამედ სხვებსაც გაუხსნა მადა წარამარა იძახონ სიტყვა „რეაქციონერი“, „ფეოდალი“ და გვერდი აუარონ საკითხის არსებითად განხილვას, კლასიკოსების მართლაც მარქსისტულ-ლენინურად შეფასებას, მათი შემოქმედების სწორ, ბოლშევიკურ კრიტიკას.

ამხ. მახარაძე ამგვარ ატესტაციას შემთხვევით როდი აძლევს კლასიკოსების ამ „მემარცხენე“ შემფასებლებს და ვულგარიზატორებს. მისი მოსაზრებანი ლიტერატურული მემკვიდრეობისა და კერძოდ ილიას შეფასების საკითხში ეთანხმება ამ ახალგაზრდების შემცდარ შეხედულებებს.

ჩვენ აქ მიზნად არ ვისახავთ საერთოდ ლიტერატურულ საკითხებზე, კერძოდ კლასიკურ მემკვიდრეობაზე ამხ. მახარაძის თვალსაზრისის დაწვრილებით გარჩევას და კრიტიკას. ეს ფართო სპეციალური განხილვის საგანია. მაგრამ ზოგიერთ ძირითად საკითხზე შევჩერდებით იმ აზრის ნათელსაყოფად, რომ ამხ. მახარაძის ნაშრომები ლიტერატურის საკითხებზე შეიცავენ თვალსაჩინო შეცდომებს და ზოგჯერ ანვითარებენ ანტი-მარქსისტულ, ანტილენინურ თვალსაზრისსაც კი.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევეხოთ ორი დიდი მწერლის — ილია ჭავჭავაძისა და ეგნატე ნინოშვილის შეფასების საკითხს.

ილია ჭავჭავაძეში, როგორც მწერალსა და პიროვნებაში, ამხ. მახარაძე ხედავს **მხოლოდ** და **მხოლოდ** რეაქციონერსა და თავადს, გლეხების ექსპლოატატორ მებატონეს და მონარქისტს, რომელიც თავისი კალმითაც და საქმიანობითაც ფეოდალურ საქართველოს ემსახურებოდა. თავის ერთერთ უკანასკნელ წერილში —„მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში“, რომელიც 1931 წლის ბოლოს დაიწერა, როგორც პლ. ქიქოძისა და ფრ. ნაროუშვილის ჯგუფის ტროცკისტული წიგნის („ბრძოლა კლასიკოსებისათვის“) წინასიტყვაობა, ხოლო შემდეგ 1933 წ. წერილად შევიდა კრებულში — „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“, ამხ. მახარაძე შემდეგნაირად აყალიბებს ამ აზრს:

„რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, ყველა მისი ნაწერების და ყველა იმ დოკუმენტების და მასალების მიხედვით, რაც მისი ცხოვრების შესახებ მოიპოვება, მუდამჟამ **ტიპიური თავადი და მემამულე** იყო თავიდანვე და ბოლომდეც ასეთივე დარჩა...

„როგორც მწერალი, ი. ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, **მემამულეების ინტერესების უერთგულესი დამცველი, ფეოდალურ საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი**“ (ხაზი ყველგან ავტორისაა. იხ. კრებული „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“ გვ. 39 და 47.).

ცხადია, ილიას ასეთი შეფასება აშკარა **ცალმხრივობა** და ამდენად შეცდომაა. საერთოდ, ჩვენი კლასიკოსების ამგვარი შეფასება, უკეთ შეუფასებლობა, მათი წარმოდგენა მხოლოდ მონარქისტებად, სისხლისმსმელ მხეცებად, რაღაც საფრთხობელად, რომლითაც აშინებენ მკითხველს, სრულებითაც არ არის მემკვიდრეობისადმი ლენინური მიდგომის დამახასიათებელი თვისება.

ამხ. მახარაძის ეს სტრიქონები და შენიშვნები, ისე როგორც ზოგიერთი კრიტიკოსის სიტყვები, ჩვენ გვაგონებს დაფეთებული და შეშინებული ადამიანის წამოძახილს, გვაგონებს ალუპკის მუზეუმში მომხდარ ამბავს, ამას-წინათ, რომ „პრავდაში“ იყო შვენივრად აწერილი. ამ მუზეუმში ექსკურსანტები შევიდნენ, მუზეუმის თანამშრომელმა მათ აჩვენა ეკატერინე მეორის მარმარილოს თვალწარმტაცი ბიუსტი და თან დააყოლა:

— ყურადღება მიაქციეთ ამ მხეცურ, მტაცებლურ პირისახეს და ტუჩებს, კაბიანი ფეოდალისა და დესპოტის ამ სისხლიან თვალებს!

გაკვირვებულმა ექსკურსანტებმა დიდხანს გულდასმით ათვალიერეს ბიუსტი, მაგრამ ვერაფერი ამის მსგავსი ვერ დაინახეს. პირიქით, საკმაოდ ლამაზი ქალის სახეს ხედავდნენ.

დაახლოვებით ამგვარ სურათთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაშიც, როცა კლასიკოსებზე „მემარცხენე“ კრიტიკოსების მსჯელობას ვისმენთ. „მხეცი“, „ფეოდალი“, „სისხლისმსმელი“ — გაიძახიან ისინი. ხოლო როცა საქმეს ეცნობი, მწერლის შემოქმედებაში არც ისეთი საშინელებანი გვხვდება, როგორც კრიტიკოსები ცდილობენ წარმოგვიდგინონ.

ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს საჭირო იყოს ვინმემ ოდნავ მაინც ხელი დაიფაროს ამა თუ იმ კლასიკოსის უარყოფითს მხარეებს, მის რეაქციულ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. მაგრამ ამ მომენტის აღნიშვნასთან ერთად, საჭიროა მკითხველს გავურკვიოთ კლასიკოსის შემოქმედების დამახასიათებელი მომენტები, მისი დადებითი მხარეები, მისი ჩაწვდომა ობიექტურ სინამდვილეში და. ამგვარად, დავასაბუთოთ: რატომ შედის ესა თუ ის კლასიკოსი თანამედროვე კულტურის საგანძურში?

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ილიას.

ცხადია, ილია არ იყო სოციალისტი. მაგრამ იგი თავის მხატვრულ შემოქმედებაში არც რეაქციონერი და მონარქისტი იყო, როგორც ამას ამხ. მახარაძე გველაპარაკება. ამხ. ფილიპე ილიას მთელ შემოქმედებას რეაქციულად და მონარქისტულად აცხადებს. მაშინ, როდესაც, ილიას შემოქმედებაში ჩვენ ვხვდებით პროგრესიულ იდეებსაც. რაც იმას გვიკარნახებს, რომ ეს დიდი მწერალი ძირითადად თავადაზნაურობის პროგრესულ-ლიბერალურ ფრთას მივაკუთვნოთ.

სტახანოვური მეთოდი ჩაის მოსავლიანობის ზრდის იარაღია

ანასეულის ჩაის მცდელ კოლმეურნე-სტახანოველთა შეკრების მონაწილენი. სურათზე: (მარჯვნიდან— მარცხნივ): ილარიონ დოლიძე (ჩოხატაური), ისაკი კორძაძე (ხონი) აკაკი გეგუჩაძე (ხონი), ახმედ მახარაძე (ქობულეთი), გრიშა ხელაძე (ლანჩხუთი), პროკოფი გონიადი (ქობულეთი, ამბროსი წივწივაძე (ხონი), იოსებ შონია (ოჩამჩირე)

ჩაის მცდელ სტახანოველთა შეკრება ანასეულში

„კომუნისტის“ სპეციალური ბრიგადისაგან.

ჩაის საქმის ასორმოცზე მეტი მოწინავე მცდელი სტახანოველი შეიკრიბა 3 დეკემბერს ანასეულში (მახარაძის რაიონი).

ისინი მოვიდნენ მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ბათომის, ქობულეთის, ფოთის, სამტრედიის, მარტვილის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გალის, ოჩამჩირისა და ხონის რაიონების საბჭოთა მეურნეობებიდან, კოლმეურნეობებიდან... მოვიდნენ და მოიტანეს ძვირფასი გამოცდილება — თავიანთი ინიციატივით დაყენებული ცდების შედეგები, დაკვირვებანი და წინადადებანი, რათა ჩაი, მანდარინი, ლიმონი — შეძლებული და კულტურული ცხოვრების ეს დაუშრეტელი წყარო — იძლეოდეს მეტს და უკეთესი ხარისხის მოსავალს, რომ აჭარისტანი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი — წინათ თავადაზნაურების და მენშევიკების მიერ დაბეჩავებულნი და გაღატაკებულნი, გადაიქცნენ საბჭოთა ფლორიდად და ცეილონად.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა შეაჯამა და განიხილა საქართველოში ჩაის მეურნეობის მდგომარეობისა და პერსპექტივების საკითხი. მან მთელი რიგი საბრძოლო ამოცანები დაუსახა ჩაის საცდელ სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტს. პლენუმმა მიღწევებთან ერთად აღნიშნა, რომ ინსტიტუტი დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობდა მცდელთა შორის, სუსტად იყო გაბმული კავშირი საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან, რომ ინსტიტუტის მიერ გაწეული მუშაობა ჩაის ტექნოლოგიის, მექანიზაციის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში ვერ აკმაყოფილებდა მზარდ მოთხოვნილებას. პლენუმმა დაავალა ინსტიტუტს მთელი შინაგანი საშუალებების მობილიზაციით, დაჩქარებით გამოესწორებინა აღნიშნული ჩამორჩენა.

ამიერ - კავკასიის და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების გამობრძმედილი მეთაურის ამხ. ლ. ბერიას უშუალო ოპერატიული ხელმძღვანელობითა და დახმარებით ანასეულის ჩაის საცდელმა სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტმა ამ მოკლე ხნის განმავლობაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. საბოლოოდ გადაიჭრა ჩაის ფოთლის ხელოვნური ჭკნობისა და ხმელი ჩაის მტვერისაგან კოფეინის დამზადების საკითხი, ჩამოყალიბდა და გადაეცა წარმოებას სატრაქტორო და ცხენის კულტივატორის ტიპები, რომლებიც მომავალი წლიდან ფართოდ იქნება გამოყენებული ჩაის პლანტაციების თოხნაზე. სწარმოებს ცდები ინჟ. ტიტოვისა და აგრ. გოგიბერიას შემუშავებული საკრეფი მანქანების გამოსაყენებლად. შემუშავებულია ჩაის სასხლავი ორი მანქანის კონსტრუქცია და სწარმოებს მათი გამოცდა.

როგორც ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ბობოხიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, ინსტიტუტს დიდ დახმარებას უწევენ ჩაის საქმის მცდელები, ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დახმარებით ისინი აყენებენ ცდებს ჩაისა და ციტრუსების ახალი ჯიშების გამოყვანაზე. მათ საუკეთესო დაკვირვება აქვთ თუ რა გავლენას ახდენს მოსავლიანობის გადიდებაზე პლანტაციების მორწყვა, დაჩრდილვა, განოყიერება, როგორ უნდა მოისპოს სარეველა ბალახები და სხვ.

მცდელ სტახანოველთა რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომელიც მოწვეული იყო ინსტიტუტის ინიციატივით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩაის მოსავლიანობის გადიდების საკითხს. როგორც ჩაის ფართობის, ისე მისი მოსავლიანობის ზრდის მხრივ უკანასკნელ წლებში გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ. საშუალო მოსავალი ჰექტარზე 1932 წელთან შედარებით 1935 წელს გაორკეცდა, მაგრამ ეს ცოტაა. ჩაის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ვერ არის გამოყენებული ის უდიდესი საშუალებები, რომლებიც მათ მოეპოვებათ.

შეკრებამ დიდის ინტერესით მოისმინა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის ამხ. მ. გაბისონიას სიტყვა. ამხ. გაბისონიას მოსავლიანობის გადიდებაზე დაყენებული ჰქონდა ცდა სოფ. გურთიანთაში. საცდელი ნაკვეთის საშუალო მოსავლიანობა წინათ ჰექტარზე 1200 კილოგრამს არ აღემატებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქ სადრენაჟო არხი გაიყვანეს, წესიერად შეიტანეს სასუქი, ჯეროვნად გათოხნეს და მოკრიფეს, მოსავლიანობამ 6.427 კილოგრამს მიაღწია. ზვანის საცდელი ნაკვეთი წინათ 966 კილოგრამს იძლეოდა. სამი წლის განმავლობაში (1930-32წ.) საშუალო მოსავლიანობა ერთნაირი იყო. 1933 წელს ნაკვეთზე მოახდინეს მძიმე გასხვლა, სხვა სამუშაოებიც ვადაზე და წესიერად შეასრულეს. პირველ წელს ამ პლანტაციაში 1300 კილოგრამი ჩაი მოიკრიფა, 1934 წელს — 5.000, ხოლო წელს მოსავალმა 6.000 კილოგრამს გადააჭარბა.

ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მე-15 ბრიგადის ხელმძღვანელმა სტახანოველმა ამხ. გონიადი შეკრებას განუცხადა, რომ მის ბრიგადაში ჩაის საშუალო მოსავლიანობა წელს ჰექტარზე 4.000 კილოგრამს უდრის და რომ ბრიგადას გადაწყვეტილი აქვს მოსავალი 5.000 კილოგრამამდე აიყვანოს.

მცდელ სტახანოველთა შეკრებამ ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დამკვრელებს, სტახანოველებს მიმართა მოწოდებით — სათავეში ჩაუდგენ ჩაის ზამთრის სამუშაოთა ვადაზე და ხარისხოვნად შესრულებას და იბრძოლონ იმისათვის, რომ პარტიისა და ხელისუფლების დავალება — მომავალ წელს მივაღწიოთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობის გადიდებას 1200 კილოგრამამდე — აუცილებლად შესრულდეს.

მიმართვა ამხ. ლ. ბერიას

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი!

თავგამოდებული მუშაობის შედეგად, ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ შეგვიძლია გიაიტაკოთ, ძვირფასო ლავრენტი, ჩვენი მიღწევები: სახელდობრ, გადავჭერით ახალგაზრდა პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავების მექანიზაცია და მივეცით წარმოებას ჩვენი ინსტიტუტის მიერ კონსტრუირებული ჩაის სატრაქტორო კულტივატორი (ჩ. ტ. კ.), რომელმაც საწარმოო გამოცდა ჩაიარა კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში.

დავამუშავეთ ცხენის გამწევი ძალის და მისაბმელი ინვენტარის გამოყენების საკითხები (გუთანი ვ. ქ. საზამთრო დამუშავებისათვის და კულტივატორი „პლანეტი“).

გამოვიმუშავეთ ჩაის ბუჩქის სასხლავი მანქანების კონსტრუქცია (გ. შ.-2 და „ლიდა“), რაც წელს პრაქტიკაზე შემოწმდება.

დავამთავრეთ ჩაის ფოთლის საკრეფი 2 მანქანის (გ. შ. 2 და „ლიდა“) საცდელ-ლაბორატორიული გამოცდა და დავსახეთ ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მათი ფართო სამეურნეო გამოცდის გეგმა.

დავასრულეთ ჩაის ფოთლის ხელოვნური ჭკნობის ექსპერიმენტული შემოწმება, როგორც სქელი, ისე თხელი ფენებით კამერებში და მივეცით წარმოებას ტექნოლოგიური და ეკონომიური დასკვნები.

დავამუშავეთ ჩაის მეურნეობის ნარჩენებიდან კოფეინისა და ექსტრაქტების მიღების მეთოდი.

დავაზუსტეთ ფოსფორმჟავა სასუქების მოხმარების საკითხი და ვურჩიეთ წარმოებას თავი შეიკავოს სუპერფოსფატის ან ფოსფორიტის ფქვილის შეტანისაგან იმ პლანტაციებში, სადაც იგი შეტანილი იყო გასულ წლებში 2-ჯერ ან მეტჯერ, რაც ჩაის მეურნეობას მარტო 1936 წელს მისცემს, სულ უკანასკნელი, 1 მილიონი მანეთის ეკონომიას.

დავაზუსტეთ აგრეთვე პლანტაციებში აზოტის დოზები და შეტანის ვადები, რაც ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში საგრძნობ ეფექტს მოგვცემს.

დავამთავრეთ ჩაის ახალი აგროწესების დამუშავება და გადავეცით წარმოებას.

თქვენი მითითების მიხედვით, ძვირფასო ლავრენტი, გავაჩაღეთ მუშაობა მცდელ-კოლმეურნეთა შესასწავლად.

შევისწავლეთ და დავრაზმეთ ინსტიტუტის გარშემო 105 მოწინავე კოლმეურნე მცდელი, რომლებიც მუშაობენ 148 სხვადასხვა სახის ცდაზე. მათ შორის მოიპოვებიან სუბტროპიკული მეურნეობის ნამდვილი მიჩურინელები, რომლებსაც ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევები აქვთ.

საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ჩამოვაყალიბეთ 35 ქოხ-ლაბორატორია, გავშალეთ მუშაობა მასობრივი ცდების დაყენებისათვის და ახალ ენთუზიასტ მცდელთა კადრის შესაქმნელად.

თქვენი დახმარებით შევუდექით ჩაის საცდელი ქარხნის აგებას. ამ ფრიად მნიშვნელოვან სამუშაოს დავამთავრებთ 1 მაისისათვის.. ეს კი უსაზღვრო სიხარულით ავსებს ჩვენი ინსტიტუტის თვითეული მუშაკის გულს.

საცდელ-საგამოკვლევო მუშაობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად, ინსტიტუტის მეცნიერულ მუშაკთა კოლექტივი ჩაება ჩვენი ქვეყნის დიდ სტახანოვურ მოძრაობაში და ახდენს თავისი მუშაობის მეთოდების გარდაქმნას. სამეცნიერო მუშაობის სტახანოვური ტემპებით სვლა შესაძლებელია მხოლოდ წარმოებასთან მტკიცე ორგანული კავშირის პირობებში. ცდებისა და მიღწევების ურთიერთგასაზიარებლად ინსტიტუტის მიერ მოწვეული მოწინავე მცდელ კოლმეურნეთა დღევანდელი შეკრება სარგებლობას მოუტანს არა მარტო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, არამედ უპირველეს ყოვლისა თვით ინსტიტუტსაც.

ამ შეკრებაზე შევაჯამეთ რა თქვენს მითითებათა საფუძველზე გაწეული მუშაობა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ თვითეული ჩვენი მიღწევა მტკიცედ არის დაკავშირებული თქვენს სახელთან, შედეგია თქვენი კონკრეტული ხელმძღვანელობისა და მზრუნველობისა. სიამაყის გრძნობით ვსვამთ საკითხს, რათა ჩვენს ინსტიტუტს, ამხ. ლავრენტი, ამიერიდან ეწოდოს თქვენი სახელი, დიდი სტალინის სახელოვან მოწაფის სახელი!

გაუმარჯოს დიდ სტალინს და მის ერთგულ მოწაფეს ამხ. ლავრენტი ბერიას!

ხელს აწერენ: ინსტიტუტის სამკუთხედი, სწავლული სპეციალისტები უფროსი მეცნიერ - სპეციალისტები, მცდელი სტახანოველები.

ჩაის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ყველა დამკვრელ მუშა სტახანოველს

ჩაის კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მცდელების მეორე რესპუბლიკური შეკრება, მოწვეული ჩაის მეურნეობის საკავშირო საგამოკვლევო - ინსტიტუტის მიერ, აღნიშნავს, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილება 1937 წელს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების შესახებ, საშუალოდ ჰექტარზე 1800 კილოგრამამდე სავსებით მისაღწევია. 3 წლის განმავლობაში მოსავლიანობის გაორკეცება (700 კილოგრამიდან 1932 წ. 1400 კილოგრამამდე 1935 წ.), რასაც ჩვენ მივაღწიეთ, მოწმობს იმას, რომ მოსავლიანობის გადიდების საქმეში ჩვენ დაუშრეტელი შესაძლებლობა გვაქვს.

ჩაის გაშენებისა და მოვლის წესების დაცვით ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ მოსავლიანობის უმაღლეს მწვერვალებს და არა თუ დავეწიოთ ჩაის წარმოების მოწინავე ქვეყნებს, არამედ უკანაც ჩამოვიტოვოთ ისინი.

ის ფაქტი, რომ ჩაის მეურნეობის ინსტიტუტის საცდელ პლანტაციებზე მიღწეულია მოსავლიანობის გადიდება 4500—6000 კილოგრამამდე (ზვანი), საცდელ პლანტაციაზე სოფ. კახურის კოლმეურნეობაში 5.000—6000 კილოგრამამდე, ზუგდიდის ფილიალის საცდელ პლანტაციაზე 2500—3860 კგ. სოფ. დაგვის (აჭარისტანი) ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობის ცალკეულ ბრიგადებში საშუალოდ 4000 კგ., ჩაქვის მეურნეობის ცალკეულ პლანტაციებზე — 4000 კილოგრამამდე, მოწმობს, რომ ჩვენს სინამდვილეში არის უდიდესი შესაძლებლობანი, უდიდესი რეზერვები მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ეს სარეკორდო ციფრები მიღწეულია აგროწესების სწორად, ბოლშევიკურად დაცვით. მაშასადამე, **არ არსებობს** ცუდი და კარგი პლანტაციები **არამედ არიან** ცუდი და კარგი მუშაკები, ადამიანები, **რომლებიც სწყვეტენ საკითხს, რომლებიც დაეუფლენ ჩაის აგროტექნიკას.**

ჩაის მეურნეობის მოწინავე მცდელ სტახანოველთა შეკრება მოუწოდებს ჩაის ყველა მეურნეობის მუშებს, კოლმეურნეებს, მუშა და კოლმეურნე ქალებს, ფართოდ გაშალონ ბრძოლა აგროტექნიკის დაუფლებისათვის, რომ სტახანოვური მეთოდების დანერგვით გამოვიწვიოთ და გავაჩაღოთ ძლიერი მასობრივი მოძრაობა ჩაის მოსავლიანობის გასადიდებლად.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ ხელთ არის მეცნიერების მიღწევები და პრაქტიკის მდიდარი გამოცდილება, რომ მოწინავეთა მაგალითები მასობრივ მოვლენად ვაქციოთ.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩაის მოსავლიანობის გადიდება სწყდება საზამთრო სამუშაოთა ვადაზე მაღალხარისხოვნად შესრულებით.

ამხანაგებო. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ჩაის მეურნეობის დემჩენკოველები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გადიდებული მოსავლის თავის დროზე აღება.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს დიდი სტალინის სახელოვან მოწაფეს ამხ. ლ. ბერიას!

ბელორუსიის სახალხო პოეტს იანკა კუპალას დღეს უსრულდება საზოგადოებრივ ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავი. საქ. მწერალთა კავშირმა კუპალას გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

იანკა კუპალა

მოზარდი და მფრინავი

ჩემო კარგო ამხანაგო,
ჩემო კარგო მფრინავო!
დრო ჩამსვა შენს კაბინში,
უნდა დამაწინაო!

ხედავ, უკვე გავიზარდე,
გავხდი დიდი. ვეება...
თითქოს ჩემი თვითმფრინავი
სიზმრად ჰაერს შეება!

დიდამ მითხრა:—შეგისრულდა,
შვილო, დღეს, შვიდი წელი!
შენთვის იქნებ ცოტა იყოს...
მე კი სულ ფრენას ველი!

მომწყინდა საბავშო ბაღში
მუდამ დღე სიარული.
მინდა ვნახო ცა კაშკაშა,
ცა ნაზი, მხიარული!

ამიყვანე, ამაფრინე,
გამაცანი ის მხარე,—
სადაც ცაზე ნელა, დინჯად,
დადის მნათობი მთვარე!

უნდა ვნახო ვარსკვლავები
დილით როგორ ქრებიან,
მდინარენი შორეულ ზღვას
როგორ უერთდებიან!

მინდა მოსკოვს გადავუფრინდე,
კრემლსაც შევავლო თვალი.
და ვუძღვნა თვითმფრინავიდან
სალამი ბელად სტალინს!

მინდა ფრენა, ფრენა მინდა,
სურვილი მაქვს ძლიერი.
წამიყვანე, შემასწავლე,
დარჩები მადლიერი.

სთარგმნა
ლადო გეგეჭკორმა.

კონკურსი მრეწველობის გეგმების საუკეთესოდ შესრულებაზე

გამოიწვიეთ ფოთი

ცხაკაიას რაიონის ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის სისტემაში გაერთიანებული წარმოებები გეგმების საუკეთესო შესრულების უზრუნველსაყოფად დროულად ჩაებნენ კონკურსში. გამოყოფილია კონკურსის ხელის შემწყობი კომისია როგორც მრეწველობის ტრესტის სამმართველოსთან, ისე ცალკეულ საწარმოებში. კონკურსის პირობებს იცნობს თვითეული მუშა.

მეოთხე კვარტალი გამოცხადებულია დამკვრელ კვარტალად. ფართოდ არის გამოყენებული შრომის ახალი ფორმები და მეთოდები. ცხაკაიას რაიონს გამოწვეული ჰყავს სოცშეჯიბრებაში ფოთის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო, ხოლო ცალკეულ საწარმოებს ერთმანეთთან გაშლილი აქვთ სოცშეჯიბრება. თვითეულ მუშას და მუშა-ქალს აღებული აქვს კონკრეტული ვალდებულებანი საწარმოო-საფინანსო გეგმების საუკეთესოდ შესასრულებლად და პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.

საკირე ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა იკისრეს: 20 დეკემბრისათვის წლიური გეგმის შესრულება, პროდუქციის გაუმჯობესება, წუნის მინიმუმამდე დაყვანა თვითღირებულების 15 პროც. შემცირება და შრომის ნაყოფიერების 10 პროც. ზრდა. ქარხანას ჰყავს სტახანოველები — მელუმელე ვლ. დანელია და ვახ. ციალაკოვი, რომელნიც გეგმას 200 პროც. ასრულებენ. ასეთივე კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს ლიმონათის, გრეხილავეჯეულობის ქარხნებმა და სხვ. წარმოებებმა.

გრ. გ—ვა.

ახალი საკავშირო რეკორდი

ტფილისის თამბაქოს ფაბრიკის ელინსონის სისტემის საგილზე მანქანებზე მომუშავე ოსტატმა ქალებმა ამხ. კლავდია მალიგლუევამ, ანა გრომოვამ, ზინა ტანოევამ და კლავდია ჩმუტოვამ დაამყარეს ახალი საკავშირო რეკორდი ელინსონის სისტემის ორაპარატიან საგილზე მანქანების მომსახურებაზე, გადავიდნენ, რა 3-დან 5 მანქანის მომსახურებაზე.

რას მიაღწიეს მათ?

კლავდია მალიგლუევამ გამოუშვა 510 ათასი ცალი გილზი ერთ ცვლაში, ნორმით კი გათვალისწინებულია 261 ათასი ცალის გამოშვება, მანქანის შრომის ნაყოფიერება 100-დან აიყვანა 117,4 პროცენტამდე, ცვლაში გამოიმუშავა 9 მან. და 93 კაპიკი ნაცვლად 5 მან. და 8 კაპიკისა, აქ საქმე ნორმის გადაჭარბებით შესრულება კი არ არის, არამედ იმ დაზგების რიცხვის გადიდებაა, რომელსაც ამჟამად ემსახურება ამხ. კ. მალიგლუევა.

ანა გრომოვამ გამოუშვა 495,6 ათასი ცალი გილზი 261 ათასის ნაცვლად, მანქანის ნაყოფიერება 100-დან აიყვანა 113,9 პროცენტამდე და გამოიმუშავა ცვლაში 9 მან. და 69 კაპ.. ნაცვლად 5 მან. და 08 კაპიკისა.

ზინა ტანოევამ გამოუშვა 441 ათასი ცალი გილზი ცვლაში, ნორმით გათვალისწინებულ 243 ათასისა ნაცვლად. მანქანის ნაყოფიერება აიყვანა 105,8 პროცენტამდე, დღეში გამოიმუშავა 8 მან. და 97 კაპ. ნაცვლად 5 მან. და 08 კაპ.

ფაბრიკის წარჩინებულ ადამიანებს, საუკეთესო სტახანოველებს ახალი საკავშირო რეკორდის დამყარებისათვის ფაბრიკის მუშებმა გულთბილი შეხვედრა გაუმართეს, ყვავილების თაიგული მიართვეს და გაზიარეს მათი მუშაობის გამოცდილება.

და მართლაც, ეს რომ ისე იყოს, როგორც ამხ. ფ. მახარაძე ცდილობს დაამტკიცოს, მაშინ რაღა სცხია ილიას კლასიკოსისა, მაშინ რატომღა მივიჩნევთ მას დიდ მწერლად, რომელიც ჩასწვდომია ობიექტურ სინამდვილეს და საკმაოდ მკაფიოდ მოუხაზავს იგი? ან რად ამ შერჩენია ეგი ჩვენს მაგიდას და ახლა საბჭოთა სცენაზეც იკაფავს გზას, ან რისთვის აფასებს მას ხალხი? რომ ფ. მახარაძისებურად იყოს, მაშინ რატომ არის დიდი მხატვარი და კლასიკოსი დიდი მემამულე და გრაფი ტოლსტოი, რომელიც პოლიტიკურად რეაქციონერი, სარწმუნოებრივად ქრისტეს მოთაყვანე, თავისებური რელიგიის ქურუმი და პატრიარქალობის უერთგულესი დამცველი იყო?

თუ გვერდს ავუვლით იმ **ობიექტურ სინამდვილეს, იმ კონკრეტულ ისტორიულ სიმართლეს,** რომელიც ამა თუ იმ კლასიკოსის შემოქმედებაშია ასახული და თუ მხოლოდ მათს პოლიტიკურ მსოფლმხედველობას გავუწევთ ანგარიშს, მაშინ თითქმის ყველა კლასიკოსი მოჰყვება ამ „სოციოლოგიურ“ წმენდაში, ბევრი მათგანი, როგორც ლიტერატურული მემკვიდრეობა, გამოაკლდება სოციალისტური კულტურის სალაროს. ასე კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვიქცეთ.

ხოლო ამხ. მახარაძე სწორედ ასე იქცევა. და არა მარტო ის. ეს მისი შემცდარი აზრები და შეფასებანი საფუძველსა და გამბედაობას აძლევს ზოგიერთ კრიტიკოსს, ერთი ხელის მოსმით ჩარიცხოს თითქმის ყველა კლასიკოსი რეაქციონერთა, მონარქისტთა და ვინ იცის კიდევ ვის ბანაკში, მათი შემოქმედების კარგი და ცუდი მხარეების ობიექტური განხილვის ნაცვლად.

გადავიდეთ ეგნატე ნინოშვილის შეფასების საკითხზე. მართალია, საერთოდ ამხ. ფილიპე მახარაძე სწორად აღნიშნავს ნინოშვილის გარკვეულ დამსახურებას ქართულ მწერლობაში, მაგრამ იგი არაობიექტურად, ყალბად აშუქებს ნინოშვილის პოლიტიკური ბრძოლისა და ამასთან დაკავშირებით „მესამე დასის“ საკითხს, სწორად ვერ გადმოგვცემს სინამდვილეს ჩვენში ბოლშევიზმის ჩასახვისა და განვითარების შესახებ; ეს უდიდესი სიმკვეთრით გამოამჟღავნა ამხ. **ლ. ბერიამ** თავის ცნობილ მოხსენებაში ა.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხზე.

თავის სპეციალურ წერილში ეგნატეს შესახებ ამხ. მახარაძე ასე განსაზღვრავს ეგნატე ნინოშვილის ადგილს ისტორიაში და კერძოდ ლიტერატურაში:

„მისი (ე. ი. ნინოშვილის — ვ. მ.) სიკვდილის შემდეგ ჩვენ განვიცადეთ სამი დიდი რევოლუცია, რომელთაც მოჰყვა განხორციელება იმ იდეალებისა, რომლებისთვისაც იბრძოდა ე. ნინოშვილი. მის შემდეგ რამდენი პარტია არ წარმოიშვა საქართველოში, მაგრამ ისტორიამ ყველა ეს პარტიები გააცამტვერა, მაგრამ **ის პარტია, რომელსაც ჩვენში საფუძველი ჩაუყარა ნინოშვილმა, დღეს გამარჯვებულიაო**“ (ციტატა მომყავს ალ. სულავას წიგნიდან „ფ. მახარაძე როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი“, გვ. 45 ხაზი ჩემია—ვ. მ.).

ეს აზრი (ნინოშვილის გამოცხადება საქართველოში ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებლად), რასაკვირველია, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის გაყალბებაა. მაგრამ ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ დებულების დამტკიცებას. ამხ. ბერიას მოხსენებაში საბოლოოდ და სრულად არის გარკვეული ეს საკითხი. იქ სავსებით დასაბუთებულია, რომ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმის ფუძემდებელი და ორგანიზატორი იყო ამხანაგი **სტალინი** ამხ. წულუკიძესა და კეცხოველთან ერთად. ეს იმდენად ცხადია, რომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მაგრამ ამხ. მახარაძის ეს მოსაზრება ნინოშვილზე ამ შემთხვევაში საინტერესოა იმდენად, რამდენადაც საკითხი ქართული ლიტერატურის ერთერთი გამოჩენილი წარმომადგენლის და, საერთოდ, ჩვენი მწერლობის შეფასებას შეეხება. ამხ. მახარაძის ეს შეფასება ე. ნინოშვილისა მჭიდრო კავშირშია მის მოსაზრებასთან, საერთოდ, ჩვენში მწერლობის წარმოშობისა და განვითარების საკითხზე. ხოლო ეს მოსაზრება ჩვენ მიგვაჩნია **ლიკვიდატორულად,** რადგან იგი არსებითად **უარჰყოფს** წარსულის დიდ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას და იმის ნაცვლად, რომ სათანადოდ შეაფასოს, **სათუოდ აცხადებს** მას — ლიტერატურის სახელს პირობით არქმევს.

ამხ. მახარაძე **რომ მართლაც** ასე ფიქრობს, ამას ცხადჰყოფს მრავალი ადგილი მისი ადრინდელი ნაწერებისა. თავის ერთერთ წერილში „გლეხკაცობის განთავისუფლება ბატონყმურ დამოკიდებულებისაგან“, იქ, სადაც მე-19 საუკუნის რომანტიკოსებს და კერძოდ გრ. ორბელიანს ეხება, ამხ. მახარაძე ასე დაცინვით სწერს: „ლიტერატურა, **თუ** ეს სახელი დაერქმევა იმდროინდელ ჩვენს მწერლობას, იმავე მებატონეთა ხელში იყო და საიდან შეიძლებოდა, რომ ეს უკანასკნელნი თავისი თავის წინააღმდეგ ამხედრებულიყვნენო“ (თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 321. ხაზი ჩემია — ვ. მ.).

ასე სათუოდ და პირობითად შემთხვევით როდი გვისახავს ქართულ მწერლობას ამხ. მახარაძე. იგი ფიქრობს, რომ საერთოდ წარსულში საქართველოს არ შეუქმნია საგრძნობი კულტურული ღირებულება. არ შეუქმნია კერძოდ ლიტერატურა, რომელიც რაიმე ყურადღების ღირსი იყოს. ამხ. მახარაძე ფიქრობს, რომ ყველაფერი, რაც დ. ჭონქაძემდე ჩვენს ლიტერატურაში დაწერილა, არ წარმოადგენს მწერლობას და საერთოდ არც დაწერილა რაიმე ღირსეული და ყურადსაღები.

ეს მოგონილი ჭორი როდია. „მცირე შენიშვნაში“, რომელიც „კვალის“ 27 ნომერში 1902 წელს (30 ივნისს) „მოსაუბრის“ ფსევდონიმითაა დაბეჭდილი, ამხ. მახარაძე ეკამათება ომს, რომელსაც რუსულ პრესაში ასეთი აზრი გამოუთქვამს ქართულ ლიტერატურაზე: „ამ მშვენიერ ქართულ ენაზე, რომილზედაც ლაპარაკობს მრავალრიცხოვანი ერი, არსებობს ისეთი მდიდარი ლიტერატურა, და განსაკუთრებით ბელეტრისტიკა, რომლის მსგავსი ღმერთმა ყველა ერს მისცესო“.

სიმართლე რომ ვთქვათ, ეს არ არის ქართული ლიტერატურის მაინცდამაინც დიდად გაზვიადებული შეფასება, იმ ლიტერატურისა, რომელმაც მწერლობის მსოფლიო საგანძურს შესძინა მოთას „ვეფხისტყაოსანი“, გიორგი მერჩულის უკვდავი პროზა, საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“, გურამიშვილი, ბესიკი, ბარათაშვილის საკაცობრიო მოტივები და სხვ.

მაგრამ რატომღაც ამხ. მახარაძე განაწყენებულა ამ შეფასებით, იგი ოინბაზობად მოსჩვენებია და თავისი აზრი გამოუთქვამს ამ საგანზე. მერე და როგორია ამხ. მახარაძის აზრი? აი რას უპასუხებს იგი ომს:

„ანდა ერთი კაცმა თქვას, როგორ შეიძლება, **რომ ველურ, მოშიშარ და მხდალ ხალხს** ისეთი მდიდარი ლიტერატურა შეექმნას, რომელსაც ყველა ერი შეხატროდეს. არა, აქ რაღაც უხერხული და უადგილო ოინბაზობაა, ან და სრული გაუგებრობა, მაგრამ უფრო კი ოინბაზობაო“. (იხ. თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 373. ხაზი ჩემია — ვ. მ.).

ამხ. მახარაძე რომ შემდეგშიც ამ პოზიციაზე დარჩა, ამას ადასტურებს ისევ მისი 1926 წელს გამოქვეყნებული წერილი „საქართველო მე-19 საუკუნეში“. ამ წერილში, ამხ. მახარაძე პროფ. ხახანაშვილს ეკამათება და უფრო რელიეფურად, ხელშესახებად აყალიბებს თავის ლიკვიდატორულ შეხედულებას საქართველოს კულტურასა და მწერლობაზე. ამხ. მახარაძე სწერს:

„ხახანაშვილი სცდება, ან ყოველ შემთხვევაში ძრიელ აჭარბებს, როცა ამბობს, რომ 1801 წელს **უძველესი კულტურით შეიარაღებული ხალხი დაემორჩილა** სხვა ნიადაგზე აღმოცენებულ განათლებას, რომ შეიზღუდა ორგანიული, ბუნებრივი და საერთო ძალთა განვითარებაო. უნდა ვიკითხოთ, სად იყო ეს კულტურა? რაში გამოიხატებოდა „ხალხის შეიარაღება უძველესი კულტურით“ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში? ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით ამ დროის შესახებ, აშკარად ამტკიცებს, რომ მაშინდელი კულტურით ამაყობა ხალხს არ შეეძლო“.

და შემდეგ:

„მეცხრამეტე საუკუნის პირველ **ნახევარში ქართული მწერლობა ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით არ არსებობდა**“ („მნათობი“ № 3, 1926 წ. გვ. 203. უკანასკნელი ხაზგასმა ჩემია — ვ. მ.).

ასე „აფასებს“ ამხ. მახარაძე მთელ ქართულ ლიტერატურას ვიდრე დანიელ ჭონქაძემდე. ხოლო მარტო ჭონქაძით და დავითაშვილით თავისქება მართლაც რომ შეუძლებელია. ამხ. მახარაძის აზრით კი სწორედ ამით იწყება ქართული ლიტერატურა და მისი ისტორია. მანამდე კი თურმე არაფერი საყურადღებო და შესანატრი არ შეუქმნია „ველურ და მხდალ“ ქართველ ხალხს.

ასეთია ამხ. მახარაძის ლიკვიდატორული მოსაზრება ქართულ კულტურაზე ქართველ ხალხსა და საქართველოს კულტურაზე. ცხადია, რომ ამხ. მახარაძის ამ მოსაზრებას არაფერი საერთო არა აქვს საკითხის მარქსისტულად დაყენებასთან და კულტურული მემკვიდრეობისადმი მიდგომის ლენინურ-სტალინურ პრინციპთან.

აი ამ „ნოყიერ“ ნიადაგზე, რასაც ამხ. მახარაძის ნაშრომები წარმოადგენენ, ასე ბლომად აღმოცენდნენ და გამრავლდნენ „მემარცხენეობის“ „სოციოლოგიური“ სოკოები, რომელთა ამოძირკვა ბოლშევიკური კრიტიკის გადაუდებელი საბრძოლო ამოცანაა.

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ ვის ზურგს ეფარებიან ჩვენი „მემარცხენე“ ვულგარიზატორები, ვის ნაწერებს ეყრდნობიან ისინი, როცა ასე ხელაღებით სთათხავენ და აძაგებენ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, კლასიკოსებს, იმის ნაცვლად, რომ გულდასმით გაარჩიონ მათი შემოქმედების დადებითი **და უარყოფითი მხარეები, მკითხველ მასაში განავითარონ კლასიკოსთა ნაწერებისადმი მახვილი კრიტიკული და ღირსეული მიდგომის ალღო და უნარი.**

O

ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასების საკითხში ჩვენში საკმაოდ დიდ არევდარევას და გაუგებრობას ჰქონდა და ნაწილობრივ დღესაც აქვს ადგილი. საკითხისადმი ობიექტურად მიდგომისა და ისტორიული ფაქტების სწორად გაშუქების ნაცვლად, ამ დარგში ზოგჯერ უფრო პირადი მომენტები და სიმპატია — ანტიპატია თამაშობს თვალსაჩინო როლს. ეს არევ-დარევა, დამახინჯებანი და გაუგებრობა საკმაოდ ხშირია განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის შეფასების საკითხში. დრო კია, ამ ოთურმას სამუდამოდ ბოლო მოეღოს.

ახლა, მას შემდეგ მაინც, რაც ამხ. **ბერიას** ბრწყინვალე მოხსენებაში მთელი სისრულითა და პრინციპული მნიშვნელობით წამოყენებულია ა. კ. და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ნამდვილი ისტორიის შესწავლის ამოცანა, საჭიროა უდიდესი სერიოზულობით მოვკიდოთ ხელი ლიტერატურის ისტორიის საკითხებსაც.

თვით ამხ. ბერიას მოხსენება წარმოადგენს მტკიცე საფუძველს ამ მუშაობის დასაწყებად და გასაჩაღებლად. ეს მოხსენება მარტო ბოლშევიზმის მატიანის საგანძური როდია. იგი დაუფასებელი საუნჯეა თვით საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების და კერძოდ ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. გარდა იმ ძირითადი პრინციპებისა, რომლითაც ამხ. ბერია კონკრეტულად, ობიექტურად უდგება ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლის საკითხს, გარდა იმ მეთოდისა, რომლითაც ის ამჟღავნებს ამ ისტორიის მეტისმეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებს, დღემდე განგებ მიჩქმალულსა და ტენდენციურად გაშუქებულს, გარდა ამისა, მისი მოხსენება ძვირფასია იმითაც, რომ იგი სისრულით და მკაფიოდ აშუქებს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მეტისმეტად მნიშვნელოვან და ამ ისტორიის მკვლევართა მიერ გაბუნდოვანებულ „მესამე დასის“ საკითხს, რომელთანაც დაკავშირებულია მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის და მეოცე საუკუნის ლიტერატურის განვითარება.

ამხ. ბერიას მოხსენება ერთბაშად ჰკვეთს გაუგებრობისა და ბუნდოვანების იმ ხლართს, რომელიც ლიტერატურის ისტორიკოსებმა მოპლანდეს. ეს მოხსენება ნათელს ჰფენს არა მარტო „მესამე დასის“ პოლიტიკურ - საზოგადოებრივ ფიზიონომიას და მის შიგნით მოპირდაპირე ძალთა ბრძოლას, არამედ პროჟექტორივით ანათებს საერთოდ იმ საზოგადოებრივ - ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროსაც, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ჩვენში შეიქმნა.

და სწორედ ამიტომ, ეს მოხსენება საფუძვლად უნდა დაიდოს არა მარტო ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლას და გაშუქებას ჩვენში, არამედ მეცხრამეტე საუკუნის დამლევისა და მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიის შესწავლასაც. ის წესი და მეთოდი კი, რომლითაც ამხ. ბერია იღებს და აშუქებს ფაქტებსა და მოვლენებს, დაგვეხმარება გავსწმინდოთ გზა ლიტერატურის უფრო შორეული წარსულისაკენ, რომ სავსებით ობიექტურად და შეუდგომლად აღვადგინოთ ლიტერატურის ისტორიის ფაქტები და მოვლენები, სათანადოდ შევაფასოთ მემკვიდრეობა, კერძოდ კი კლასიკოსები შევაფასოთ ისე, როგორც ამას გვასწავლის მარქსიზმ-ლენინიზმი.

◆

სტახანოველთა რაიონული შეკრებანი

ტყიბული

2 დეკემბერს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშათა კლუბში გაიმართა სტახანოველთა პირველი შეკრება. აქ იყვნენ ქვანახშირის მაღაროების საუკეთესო მუშები და საკოლმეურნეო მინდვრების საუკეთესო ადამიანები, რომლებიც სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევიან შრომის ნაყოფიერებასა და გეგმების შესრულებაში.

შეკრებამ მოისმინა საქართველოს კ.პ.(ბ) ტყიბულის რაიკომის მდივნის ამხანაგ ხ. ჯინჭარაძის და მაღაროთა ტრესტის მმართველის ამხ. **ხვედელიძის** მოხსენება დიდი სტალინის სიტყვის მნიშვნელობისა და სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირის შედეგების შესახებ.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ მოწინავე სტახანოველები და საკოლმეურნეო მინდვრების დამკვრელები: ამხ. ლ. ცქიფურიშვილი, კალინინი, ბაგლაევი, კუბლაშვილი, გრ. გორგიძე, და სხვ.

შეკრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მსოფლიო მუშათა კლასის საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს და ა.-კ. ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს ამხანაგ ლ. ბერიას.

წალენჯიხა

ამ დღეებში შესდგა წალენჯიხის რაიონის სტახანოველ კოლმეურნეთა პირველი შეკრება სოფლსაბჭოების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების და პარტორგების მონაწილეობით.

შეკრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. გოგუამ.

სტახანოველთა საკავშირო შეკრებაზე ამხ. სტალინის სიტყვის მნიშვნელობისა და სტახანოვური მოძრაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ.პ.(ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ბარამია.

მგრძნობიარე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველი კოლმეურნეები: ივ. ფიფია, კ. კვარაცხელია, თ. შანავა, გაიჩე მესხია, მილანდარი შეროზია, ე. მებონია, თ. ძაძამია, ჩხაპელია, იას. მალაზონია, იას. შონია. ილაპარაკა აგრეთვე მტს-ის დირექტორმა ამხ. მ. კვარაცხელიამ.

სარაიონო შეკრებამ განსაკუთრებული ენტუზიაზმით ჩაიარა.

შეკრებამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა ამხ. ლ. ბერიას.

დასასრულ დაჯილდოებულ იქნა 35 სტახანოველი კოლმეურნე.

□ □ □

საზღვრისპირა ზოლებში მისვლისა და ცხოვრების შესახებ

ს. ს. რ.-კის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება

საზღვრისპირა ზოლებში მისვლისა და ცხოვრებისათვის უფრო მტკიცე წესების დასამყარებლად — სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საზღვრისპირა ზოლების ფარგლებში და აკრძალულ საზღვრისპირა ზონაში იმ პირთა მისვლა, რომელნიც იქ მუდმივად არა ცხოვრობენ, სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად აკრძალულია.

საზღვრისპირა ზოლში და აკრძალულ საზღვრისპირა ზონაში წამსვლელმა პირმა უნდა მიიღოს მუდმივ საცხოვრებელ ადგილას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების ნებართვა.

შენიშვნა. ეს მუხლი არა ვრცელდება შავიზღვის სანაპიროს საკურორტო პუნქტებზე, სადაც მიღებულია საპასპორტო სისტემა.

2. აკრძალული საზღვრისპირა ზონები და აგრეთვე საზღვრისპირა ზოლების სიგანე (კავ. სახელმწიფო საზღვრების დაცვის დებულების მე-9 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტები — კან. კრ. 1927 წ. 62, მუხ. 625) განისაზღვრება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

3. საზღვრისპირა ზოლში და აკრძალულ საზღვრისპირა ზონაში მისვლისა და ცხოვრების წესების დარღვევისათვის, სახელდობრ: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების ნებადაურთველად სანაპირო ზოლში და აკრძალულ სანაპირო ზონაში მისვლისა, სხვა პირისათვის ნებართვის გადაცემისა, სხვა პირისათვის მიცემული ნებართვის გამოყენებისა, აგრეთვე მიცემული ნებართვის დარეგისტრირებისაგან თავის არიდებისათვის დამნაშავე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული თათბირის დადგენილებით, დაპატიმრებული უნდა იქნას ბანაკში ვადით 1 წლიდან 3 წლამდე.

იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, საწარმოს და საშენებლის კომენდანტს და სხვა თანამდებობის პირს, ვინც მიანებებს, რომ მის სამეთვალყურეო სახლში იცხოვროს იმ პირმა, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების ნებადაურთველად მივიდა საზღვრისპირა ზოლსა თუ აკრძალულ ზონაში ან რომელმაც დაარღვია საზღვრისპირა ზოლსა თუ აკრძალულ საზღვრისპირა ზონაში მცხოვრებთათვის დადგენილი რეგისტრაციის წესები.

4. მე-13 მუხლი სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ივნისის 15-ს დამტკიცებული დებულებისა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვის შესახებ (კან. კრ. 1927 წ. 62 №-ი, მუხ. 625 და 1929 წ. 39 №-ი, მუხ. [illegible]47—გაუქმებულ იქნას.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ვ. ჩუბარი.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ი. აკულოვი.

მოსკოვი,—კრემლი.
1935 წ. ივლისის 17.

ბაღდათის რაიონმა საგზაო მშენებლობის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

ამხ. ლ. ბერიას, ამხ. ფ. მახარაძის და გაზ. „კომუნისტის" რედაქციის სახელზე მიღებულია დეპეშა ბაღდათის რაიონში საგზაო მშენებლობის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ.

პარტრაიკომის მდივანი ამხ. დუმბაძე და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მჭედლიძე იუწყებიან, რომ წლის განმავლობაში დამზადებული და გამოზიდულია გზებზე საშენი მასალა—ქვა და ხრეში 8612 კუბ. მეტრის რაოდენობით; შესრულებულია მიწისა და კლდის სამუშაოები 69656 კუბ. მეტრის რაოდენობით; რეკონსტრუირებულია 18 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის ყამირისა და ხრეშის გზები, შეკეთებულია რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები 58 კილომეტრზე. სულ რაიონში წესიერ მდგომარეობაში მოყვანილია გზები 118 კილომეტრზე, რაც წლიური გეგმის 175 პროც. შეადგენს. გეგმის გადამეტებით გაყვანილია ახალი გზები 13 კილომეტრზე. აგებულია საერთოდ 81 გრძივი მეტრი ხიდები, რაც წლიური გეგმის 253 პროც. შეადგენს.

რაიონში უგზოობა ძირითადად მოსპობილია. ყველა სასოფლო საბჭო დაკავშირებულია რაიონის ცენტრთან საავტომობილო გზებით.

□

ზეთის წარმოება ციტრუსების ნაყოფისაგან

ბათუმი. მიმდინარე წელს პირველად მოეწყო ციტრუსების ნარჩენებისაგან ზეთისა და წვენის მასობრივი წარმოება ბუკნარის ეთერსახეული ქარხანა, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა 496 კილო გერანის ზეთის გამოხდა, საბჭოთა კავშირში პირველი შეუდგა მანდარინის წვენის გადამუშავებას მინერალური წყლებისათვის. მთელი მიღებული პროდუქცია (45 ტონა) გაიგზავნება მოსკოვში, ოდესაში და ტფილისში. 2 დეკემბერს მიღებული იქნა მანდარინის წვენის პირველი პროდუქცია—0,5 ტონა ქერქისა და სხვა ნარჩენებისაგან.

საბოლოოდ ათვისებულია ეთერის ზეთის წარმოება ციტრუსების ნაყოფისაგან (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი) კვების მრეწველობისათვის. მიმდინარე სეზონში ეთერსახეული ქარხნები გამოიმუშავებენ 500 კილო ზეთს. ბუკნარის ქარხანამ 15 კილო ზეთი უკვე 1 დეკემბერს გამოუშვა.

ამავე ქარხანამ მოაწყო ლიმონმჟავა კალციუმის საცდელი წარმოება ციტრუსების ნაყოფისაგან.

დამხმარე ნედლეულის საბადოები ჯუღელის ფერომარგანეცისათვის

ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხანას, [illegible] დამხმარე ნედლეულად სჭირდება კირქვა დღემდე, ქარხნისათვის საჭირო კირქვა მოჰქონდათ მოწამეთიდან. ხოლო უკანასკნელად, უკეთესი ხარისხის კირქვის საბადოები აღმოაჩინეს კვახჭირში (სად. რიონის მახლობლად).

მომავალი წლის პირველი კვარტალის დამლევიდან ჯუღელის ფეროგიგანტი მხოლოდ კვახჭირის კირქვით იმუშავებს.

ფეროსილიციუმის წარმოებისათვის (რასაც ახლახან შეუდგა ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხანა) საჭირო ნედლეულის — კაჟის მდიდარი საბადოები აღმოჩენილია სოფ. ეკლარიდან 3 კილომეტრის დაშორებით. გეოლოგების დასკვნით, ამ საბადოებიდან ამოღებული კაჟი საუკეთესო ხარისხისაა. იგი სავსებით შესაფერისია ისეთი შენადნობის მისაღებად, როგორიც არის ფეროსილიციუმი.

სახლი 200 სტუდენტისათვის

„საქკომუნმშენმა" დაამთავრა ამიერ-კავკასიის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო კომუნისტური სკოლის სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის აგება.

სახლი ხუთ სართულს შეიცავს. 100 ოთახით. მისი მოცულობა 8 000 კუბიკურ მეტრს უდრის და გათვალისწინებულია 200 კაცისათვის.

ამჟამად გაჩაღებულია მუშაობა სახლის შიგნით მოსაწყობად. მომავალი იანვრისათვის საერთო საცხოვრებელი მზად იქნება სტუდენტთა მისაღებად.

სურათზე: საერთო საცხოვრებლის ერთერთი კუთხე.

▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽

დროს „დაკარგვასთან" ბრძოლა

ტფილისში ნახევარ მილიონამდე მცხოვრებია. რამდენ დროს ჰკარგავს თვითეული მოქალაქე ყოველდღიურად, რამდენ წუთს სცდებიან ისინი ტრამვაის ან ავტობუსების გაჩერებლებზე ლოდინში, რომელ საათზე საჭირო მათი მისვლა დანიშნულ ადგილზე და სხვა. თუ თვითეული მოქალაქის გაცდენას დღეში საშუალოდ 5 წუთს ჩავთვლით, გამოდის, რომ ტფილისის მოსახლეობა ყოველდღე ჰკარგავს 4.660 საათს, ანუ 178,5 დღეს.

რა უწყობს ხელს დროის „დაკარგვას"? სხვა მიზეზთა შორის —ტრამვაის და ავტობუსის მიმოსვლის ცხრილის ხშირი დარღვევა თვითეულმა ვატმანმა იცის, რამდენ წუთში უნდა გაატაროს მან ვაგონი მარშრუტის ბოლომდე, რომელ საათზე უნდა იყოს იგი ფედერაციის მოედანზე, ან მაუდ-კამვოლის ფაბრიკასთან, სტუდენტთა ქალაქთან და ნავთლუღში საფქვავ კომბინატთან. მაგრამ ვატმანმა ან ავტობუსის წამყვანმა რომ შეამოწმოს, დროზე მივიდა თუ არა დანიშნულების ადგილას, ამის საშუალებას ხშირად მოკლებულია ამიტომ ხდება, რომ ტრამვაი და ავტობუსი ზოგჯერ ნაადრევად მიდის გაჩერებელზე, ზოგჯერ კი მეტად იგვიანებს.

საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობის ცხრილის დაცვისა და დროის ზუსტი [illegible], ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა ქალაქის ყველა დიდ მოედანზე, ტრანსპორტის მთავარ გაჩერებელ ადგილებსა და ხალხის თავმოყრის გზაჯვარედინებზე დაჰკიდოს დიდი საათები, რომლებიც მუდმივი ელექტროდენით იმუშავებენ.

საათების ქსელის მოსაწყობად საჭირო პროექტის დამუშავება უკვე დაწყებულია. ხელ. პირველ ხანში გამოჰკიდებენ 36 საათს—სადგურის მოედანზე, ჩელუსკინელთა ხიდზე, საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანზე, მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების კუთხეში, ელბაქიძის დაღმართის თავზე, სტუდენტთა ქალაქთან, აბანოების მოედანზე, კომუნარების ბაღში, კარლ მარქსის და შაუმიანის მოედნებზე, მაუდ-კამვოლის ფაბრიკასთან, ჟორესისა და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში და სხვ.

საათების ასამუშავებლად ელექტროენერგიის ქსელის მოწყობა უახლოეს ხანში დაიწყება.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის დაჯილდოება

უმაღლესი სასწავლებლების სოც. შეჯიბრების საკავშირო კომიტეტისაგან ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ორაგველიძემ მიიღო შემდეგი დეპეშა: საკავშირო შეჯიბრების კომიტეტის დადგენილებით, რომელიც დაამტკიცა საკ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, აღინიშნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი მიღწევები და დაჯილდოვდა ას სიგელით.

□

მზადება კოლმეურნე-ცხენოსანთა გადარბენის შესახვედრად

ჩრდილოეთ-კავკასიის მხარის კოლმეურნეები ამ დღეებში აწყობენ დიდ გადარბენას საკოლმეურნეო ცხენებით. გადარბენის მონაწილენი გამოვლენ ნალჩიკიდან, შემოუვლიან კავკასიონის ქედს დასავლეთიდან, გამოივლიან აფხაზეთს, საქართველოს, შემდეგ აზერბაიჯანს, კვლავ შემოუვლიან კავკასიონის ქედს აღმოსავლეთიდან და დაბრუნდებიან უკან. ეს ორგვლივი გადარბენა მოწყობილია საკოლმეურნეო ცხენების ამტანობის შესამოწმებლად და მათი ჯიშის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა დასასახავად.

საქართველოს ტერიტორიაზე გადარბენის მონაწილეთა შესახვედრად და რესპუბლიკის ფარგლებიდან მათ გასაცილებლად საქართველოს სახკომსაბჭომ სათანადო მუშაობის ჩატარება დაავალა მიწსახკომს. აფხაზეთის ცაკ, ზუგდიდის, ცხაკაიას, აბაშის, სამტრედიის, სტალინირის, ჯუღელის, ხარაგოულის, ხაშურის, გორის, კასპის, ტფილისის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის და ლაგოდეხის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და ქუთაისის ქალაქის საბჭოს დავალებული აქვთ შეუდგნენ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებას აღნიშნული გადარბენის მნიშვნელობის შესახებ.

გადარბენის მონაწილეთა გასავლელ გზაზე და შესახვედრებელ ადგილებში უნდა მოეწყოს მასობრივი შეხვედრები და სახელდახელო მიტინგები, სადაც ჩამოსულებს უნდა უჩვენონ ჩვენი მეცხოველეობის მიღწევები და გაეცნონ მათ მიღწევებსაც.

გადარბენის მონაწილეებს რაიონებში შეხვდებიან ადგილობრივი კოლმეურნე ცხენოსნები, რომლებიც მათ მიაცილებენ თავიანთი რაიონის საზღვრებამდე. მეცხოველეობის რაიონებში სტუმრებს უჩვენებენ ადგილობრივ საკოლმეურნეო ცხენთა ჯოგებს და საკოლმეურნეო-[illegible] ფერმებს.

□

ხელოვნება

ირაკლი ბერიძის კონცერტი

12 დეკემბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პირველი სახელმწიფო მუსიკალური ტექნიკუმის სტუდენტის, ვიოლონოზე დამკვრელის ირაკლი ბერიძის (პროფ. დ. გრისმანის კლასი) საჩვენებელი კონცერტი.

კონცერტის პროგრამაშია ჰენდელის, ბახის, მოცარტის, ტარტინის, მენდელსონის, თაქთაქიშვილის, რიმსკი-კორსაკოვის და პუნიანის ნაწარმოებები.

ქრონიკა

— მეცხოველეობის გამოფენა. 12 დეკემბერს, დილის 12 საათზე ტფილისის რაიონი ჰიპოდრომზე (დიდუბეში) აწყობს მეცხოველეობის სარაიონო გამოფენას.

— მწერალთა სასახლეში დღეს, საღამოს 8 ს. საქ. საბჭოთა მწერლების კავშირი მართავს პოეტ სერგეი სპასკის საღამოს—ქართველი პოეტები რუსულად. შესვლა თავისუფალია.

ბიბლიოგრაფია

ე. ნინოშვილი. — თხზულებათა სრული კრებული.

ს. ხუნდაძის რედაქციით, ტ. III, „ფედერაცია", 1935 წ. გვ. 180, ფ. [illegible] 5 მან.

სარეცენზიო ტომში მოთავსებულია ჩვენი ცნობილი ბელეტრისტის პუბლიცისტური წერილები, დოკუმენტები და მასალები. აქ ფრიად საინტერესოა ე. ნინოშვილის კერძო ბარათები და მოგონებანი მისი ამხანაგებისა. ეს მასალა მეტწილად უკვე დაბეჭდილი იყო სხვადასხვა გამოცემაში, მაგრამ ერთად თავმოყრილი საინტერესო მასალას წარმოადგენს, როგორც ჩვენი ბელეტრისტის პიროვნების ნათელსაყოფად, ისე მისი დროის ურთიერთობათა გასარკვევად. საყურადღებოა აგრეთვე „როდის რა დაიწერა ეგნ. ნინოშვილზე", შედგენილი ნ. კურდღელაშვილის მიერ და მოყვანილი 1933 წლამდე.

ფრიად საინტერესოა ეგნატეს რომანის ამბავი (გვ. 93, წერილი ნადია კალანდაძეს). ერთერთი ამხანაგთაგანი ამბობს: ნინოშვილს ძალიან მოსწონდა ტურგენევი, მეტადრე მისი „Отцы и Дети"-ო. მართლაც აქ, ამ წერილში, ნათლად ჩანს სტილი და გავლენა ბაზაროვისა, რომელსაც გულს ურევდა არკადის „ლამაზი ლაპარაკი", ე. ი. სენტიმენტალობა. ძალიან დამახასიათებელია როგორც ე. ნინოშვილის, ისე გიორგი წერეთლის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათათვის გ. წერეთლის ნახევრად საპოლემიკო პირადი წერილი ე. ნინოშვილთან (გვ. 155—158), რომელშიაც იგი სავსებით გარკვეულ პოლიტიკურ პროგრამას აყენებს, თავისთავს ნაციონალ-სოციალისტს უწოდებს, ნინოშვილს კი კოსმოპოლიტობას უკიჟინებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ნინოშვილის ზოგი პირადი წერილი (მაგალითად, თ. სახოკიასთან) ტომში შემოკლებითაა მოთავსებული. როგორც ჩანს, ეს მასალა გადმობეჭდილია ჟურნალ „მოამბის" 1895 წ. № XII-დან, სრული ტექსტი [illegible] წელს დაიბეჭდა „ლიტერატურული ძიებანის" პირველ წიგნში.

საერთოდ განსვენებულ ს. ხუნდაძეს ეს ტომიც ისევე კეთილსინდისიერად, დიდი ერუდიციით და სიყვარულით ჰქონდა მოფიქრებული, როგორადაც ე. ნინოშვილის I და II ტომი გამოცემული. სამწუხაროდ მას არ დასცალდა გეგმის შესრულება, გამომცემლობას კი არ უზრუნვია იმისათვის, რომ შეევსო ნაკლი და მესამე ტომი ოდნავ მაინც დაემსგავსებინა პირველი ორისათვის.

გამომცემლობას, როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, ხელთ ჰქონია მზამზარეული გეგმა და ყოვლად შეუწყნარებელია, რომ იგი გვაწვდის მხოლოდ ნედლ მასალას, რომელშიაც გარკვევა მკითხველს ძალიან გაუჭირდება. ვინ არიან ეს პირები, რომლებსაც ე. ნინოშვილი წერილებს უგზავნის, ან რა ურთიერთობაში იყო იგი მათთან? ეს არსაიდან ჩანს. ზოგისა გვარიც კი არ მოუთითებიათ. ვინ არის ის ალექსანდრე, რომელსაც ვრცლად ებაასება ჩვენი ბელეტრისტი (გვ. 87—89), რომლის პორტრეტიც კია წიგნში და რომლის ვინაობა არსადაა? ვის ეხება ესათუის საპოლემიკო სტატია?

სევდისმომგვრელია წიგნის ქაღალდი, აღმაშფოთებელია საერთოდ კორექტურა (ბიბლიოგრაფიაში გვარებიცაა დამახინჯებული), მეტადრე ის რამდენიმე ფურცელი რუსული ტექსტისა, რომელსაც ე. ნინოშვილის ბიოგრაფიისათვის მნიშვნელობა აქვს.

მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენი კლასიკოსების გამოცემას და ჩვენს კულტურულ მკითხველს!

ე. რ.

□

შემთხვევები

მკვლელის შეპყრობა. დააპატიმრეს მ. ა. გიტებიძე, რომელსაც წინასწარი განზრახვით მკვლელობის ჩადენისათვის დაეძებდა ბათუმის სისხლის სამართლის მილიცია. გიტებიძე ტფილისში იმალებოდა.

გამფლანგველი შეიპყრეს ქ. პლეხანოვში (ივანოვის ოლქი), გამოქცეული ა. გ. შიშკოვი, რომელმაც იქ 8 ათასი მანეთი გაფლანგა.

პარტკალენდარი

— საქ. პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ამხ. დიმიტრი ნიკოლაძე ბელიანკინს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ც. კ-ის შენობაში (1-ლი სართული, ოთახი № 20).

ოპერისა და ბალეტის [illegible] თეატრი

დღეს აბონემ. 5 წარმოდგ.	12 დეკემბერს 5 აბონ. 5 წარმოდგ.	13 დეკემბერს 7 აბონემ. 5 წარმოდგ.
ქეთო და კოტე	**ტრუბადური**	**პიკის ქალი**
[illegible] დ. ნინუა [illegible] არტ. ლ. ისეცკი [illegible] ქვარილაშვილი [illegible]	მონაწ. ბეატრიჩე ვალაცი ფატმა მუხთაროვა ნ. ქუმსიაშვილი პ. ამირანიშვილი.	მონაწ. გასტენინა დ. ანდღულაძე გ. ვენაძე დ. გაბრიჩელი

ყველა აბონემენტისთვის სავალდებულოა მეხუთე [illegible].
მზადდება დასადგმელად „ჰოფმანის ზღაპრები" და „რახილი".

რუსთაველის სახ. თეატრი 1935—36 წ. სეზონი

დღეს საუნივერსიტეტოს 14 აბონ. 2 წარმ.	12 დეკემბერს საუნივერსიტეტოს 15 აბონ. 2 წარმოდ.	14 დეკემბერს მედინსტიტუტის 18 აბონ. 2 წარმ.
ანზორ	**ანზორ**	**პლატონ კრეჩეტი**

ყოველ წარმოდგენის დაწყებისას ბილეთზე გადასახდელი აუცილებლად შეტანილი უნდა იყოს.
სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათ.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

11 დეკემბერს წარმოდგ. № 39	**ვერაგობა და სიყვარული**
12 დეკემბერს წარმოდგ. № 40	**ნინოშვილის გურია**

დასაწყისი საღ. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვ. ფილმი „აეროგრადი" ქრონ. ჟურნალი № 30
[illegible] 6-30, 8, 9-30, 11 [illegible] ორკესტრი	ახალი ხმოვანი ფილმი „არშაულა"
[illegible] თეატრი ახალი ამბები [illegible]	ხმოვანი ჟურნალი № 31 „ოქტომბრის მე-18 წლისთავი ტფილისში" „საბჭოთა [illegible]" სეანსები ყოველ 45 წუთში
[illegible] სახ. 6-30, 8, 9-30, 11 სეანსები დღის 12 ს-დან	ხმოვანი [illegible] ფილმი „კიროვი"
„26"-ის კომუნ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი „არშაულა" რეჟისორი დ. რონდელი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გამომცემლობა

გამოვიდა და იყიდება საქპარტგამომცემლობის წიგნის მაღაზიებში:

ი. სტალინი — სიტყვა მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა თათბირზე. ფასი 10 კაპ.

ლ. ბერია — ამიერ კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის. ფასი ყდით 7 მან., უყდოდ 1—50 კაპ. (მე-3 გამოც.).

[illegible] — [illegible] აღმასრ. კომიტეტის [illegible] ფასი [illegible]

დიმიტროვი — ფაშიზმის შეტევა და კომინტერნის ამოცანები მუშათა კლასის ერთიანობისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ ფასი [illegible]

467

ხელისმოწერის და ცალობით გასაყიდი ფასები გაზეთებზე და ჟურნალებზე 1936 წლისათვის

გაზეთების და ჟურნალების დასახელება	პერიოდულობა	ღირებულება ერთი წლით		ღირებულება ექვსი თვით		ღირებულება სამი თვით		ღირებულება ერთი თვით		ცალკე ნომრის ფასი
		მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	კაპ.
გაზეთები:										
1. „კომუნისტი"	ყოველდღიურად	30	—	15	—	7	50	2	50	10
2. „პროლეტარი" (სომხ. ენ.)	„	30	—	15	—	7	50	2	50	10
3. „ენი-კენდი" (თურქულ ენ.)	„	15	—	7	50	3	75	1	25	05
4. „ახალგაზრდა კომუნისტი"	„	30	—	15	—	7	50	2	50	10
5. „ნორჩი ლენინელი"	სამ დღეში ერთხელ	6	—	3	—	1	50	—	50	05
6. „საქართველოს ფიზკულტურელი"	ექვს „ „	9	—	4	50	2	25	—	75	15
ჟურნალები:										
1. „პარტიული მშენებლობა"	თვეში ორჯერ	12	—	6	—	3	—	1	—	50
2. „მშრომელი ქალი"	„ ერთხელ	4	80	2	42	1	20	—	40	40
3. „ბოლშევიკი"	„ „	6	—	3	50	1	50	—	50	50
4. „ახალგაზრდა ბოლშევიკი"	„ „	6	—	3	50	1	50	—	50	50
5. „პიონერი"	„ „	6	—	3	50	1	50	—	50	50
6. „ოქტომბრელი"	„ „	6	—	3	50	1	50	—	50	50
7. „კარმირ-ცილერი" (სომხ. ენ.)	„ „	6	—	3	50	1	50	—	50	50
8. „ენი-ძიუვი" (თურქულ ენ.)	„ „	6	—	3	50	1	50	—	50	50

ხელისმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს", ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელმოწერის შემკრები საწარმოებსა და დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამოცემლობებს ტრანსპორტზე.

ამ გამოცემებში განცხადებათა მოთავსების საკითხებზე უნდა მიმართოთ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის განცხადებათა განყოფილებას, „კომუნისტი", რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. № 3-51-81.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას გამომცემლობა „კომუნისტი".

დროებით
გაქირავდება
ერთი ოთახი
(სპეციალისტისათვის)
ქირის გადახდა შეთანხმებით

სასურველია ორჯონიკიძის ან კიროვის რაიონში. პირობების გაგება გაზ. „კომუნისტის" გამომცემლობაში 10-4 საათ. უფ.

მეუღლე ქეთო ჯიბუტი. შვილები: რევაზ ეთერ, ლილი იუწყებიან, რომ 12 დეკემბერს. 1 ს. ქ. მახარაძეში დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ძვირფას
ხარიტონ ბართლომის-ძე ჯიბუტის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11652

ტრამვაის წლიური წიგნაკების შესახებ

ტფილისის ქალაქის რკინიგზების ტრესტი იუწყება, რომ ტრამვაის წლიური ბილეთები 1936 წლისათვის
გაიცემა მხოლოდ 1936 წლის 1 იანვრამდე.
ამ ვადის შემდეგ ბილეთები არავის მიეცემა.

449 დირექტორი ბ. რაზმაძე.

დამწუხრებული დედა სოფიო, დები: მარო, ელენე და ელუსა იუწყებიან საყვარელ
ვერა გერმანაშვილის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სურამში 12 დეკემბერს, 4 ს. 11651

ღრმად დამწუხრებული სიდედრი ნადია, სიმამრი ვარლამ, ბებია ოლღა, ცოლისძმები: უჩა და გივი ძოძუაშვილები იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ სიძის აგრონომ
შალიკო იასონისძე გეგეჭკორის
უდროოდ დაკარგვას. 11658

მაუდის ფაბრიკის თანამშრომლები: სურგულაძე, ჩალტიკიანი, უკლებაშვილი, მაჭავარიანი, ჯავაშვილი, მეცხვარიშვილი, წულაძე, გაბუნია, ხელაძე, ოგანეზოვა, ქორჩილავა, ძეგველაშვილი, ჩოხელი, ელენტი,—თავბერიძე, აპრიამოვი იუწყებიან ფარსადან ახალკაცის პატარა
ლ ა მ ა რ ა ს
გარდაცვალებას. 11662

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი იუწყება, რომ 12 დეკემბერს დღის 2 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
პოეტ ვარლამ რუხაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11673

შვილები: ირაკლი, გიორგი, მაზლები: მიხეილი, ზაქარია, კონსტანტინე ოჯახებით, თამარ ქმარშვილით და ახლო იმხნელები იუწყებიან, რომ სოფ. არადეთში გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა და რძალი
ალექსანდრა გაბრიელის ასული
იმხნელი
11664

ვანიჩკა, რაჟდენ, ნადია, ნინო, ლიუბა, ბაბი, მარუსია სიძეები: გეგელია, ფცქია, ფიჩხაია იუწყებიან, რომ 12 დეკემბერს 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ძმის
აგრონომ ვასილი ტარიელის-ძე
გეგეჭკორის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11663

დამწუხრებული მეუღლე ონისიმე, შვილები: ვარო, კიტა, რძლები: ელენე, კატუშა, შვილიშვილები: ოსიკო, სელიკო, ცისანა იუწყებიან უძვირფასესი
ხელო ივანეს ასულ რამიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, ჟორესის, 4. 11666

ღრმად დამწუხრებული ვანო მაძალუა კატარა ლელათი იუწყება, რომ 12 დეკემბერს, 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ მეუღლის
ოლია დათუაშვილი—მაძალუას
ხსოვნის აღსანიშნავად. 11667

გიორგიტა წერეთელი, ტატულა, შალვა, თინიკო ლამბაშიძეები, გიგა, მიშა ჯაფარიძეები, ვერა ტოგონიძე იუწყებიან, რომ 12 დეკემბერს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი
ალექსანდრა (საშა) წერეთლის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11665

გულმოკლული მამა სევასტი, ძმა ივანე ოჯახებით, დები: ნინო, კატუშა, სიძეები: პლატონ კალანდარიშვილი და კოწია წილოსანი შვილებით იუწყებიან
ილიკო სევასტის-ძე ჩხაიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 დეკემბერს ლანჩხუთში. 11668

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მატრონა, ბიძა აქვსენტი, ბიცოლა ნადია კანდელაკები იუწყებიან საყვარელ
ლილი იაკინთეს ასულ კიკნაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 დეკემბერს ქ. სამტრედიაში. 11669

ძმა ფილიმონ, რძალი ბაბილინა, ძმისწული ნათელა კუპრავები დედა ანასტასი იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ
კოსტა პეტრეს-ძე კუპრავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ფოთში, ბერიას ქ. № 11. 11644

სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ქარხნის სამკუთხედი და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან, რომ ა.-წ. 10 დეკემბერს გარდაიცვალა ამავე ქარხნის მთავარი ბუხჰალტერი
ალექსანდრე მარტინის-ძე
მარტიროსოვი
11671

დამწუხრებულნი: მამა ასისო, ბიძა მიხანა, დები: მამიკა, ოლია, სიძე გრიშა გამცემლიძე ცოლშვილით, ბიძაშვილი თამარ იუწყებიან, რომ 12 დეკემბერს კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი
ნიკოლოზ აქვსენტის-ძე კიკნაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11661

გაუბედურებული მეუღლე მარო, ძმისწულები: რაჟდენი, კოწია, ნადია ოჯახებითურთ, ხუტუ, ხუტა შვილებითურთ იუწყებიან, რომ 18 დეკემბერს ს. ტოლეში დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი
გაიოზ ბესარიონის-ძე ბაზუას
ხსოვნის აღსანიშნავად. 11672

ტფ. სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები ღრმა მწუხარების გამოსთქვამენ ამავე კურსის სამკურნალო-პროფილაქტიკური ფაკულტეტის სტუდენტ
შუშანა ჟიბლაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 11622

მშობლები: მიხეილ, თეკლე ბახტაძეები, ბიძა კოწია, მამიდა ნინო შვილებით ცაგარეიშვილები იუწყებიან, რომ 12 დეკემბერს, 3 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი
ზინიკო ბახტაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11657

მამა ვლადიმერ, ძმა ირაკლი, ვასო, წინო, კუკური, ლიზიკო ოჯახებით იუწყებიან
ლიზა წერეთელი—მიულსის
გარდაცვალებას ბელგიაში. პანაშვიდი ვერის სასაფლაოზე 12 დეკემბერს, 1 ს. ნადია ბერეჟიანის საფლავზე. 11653

დამწუხრებული ცოლი ქეთევან, ძმები. ვალოდია, ალიოშა, და თამარ გეგეჭკორები იუწყებიან, რომ 12 დეკემბერს, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი
ნიკოლოზ (კოლია) კონსტანტინეს-ძე
გეგეჭკორის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11659

ქმარი ლევან, შვილები: თათარჯან, ბოჩოჩია ცოლშვილით, დითიკო, გრიშა, შუშუ, ციცინო, ბაბი, ცატუ ელისაბედ, ხიხუ მხეიძეები იუწყებიან
ეკატერინე მხეიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12 დეკემბერს 1 ს. ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან. 11675

სტ. „კომუნისტი" კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული ბ 8573